ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

23 თებერვლიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
გაბრიელ გარსია მარკესი
იცხოვრო, რომ მოჰყვე
წიგნი, რომელსაც ათწლეულები ელოდნენ
ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი




ოთხშაბათი, 24 თებერვალი, 2016 №45 (6971) ფასი: 50 თეთრი

# მიხეილ მაჭავარიანი: „ქართული ოცნება“ საარჩევნოდ არეულობას აპირებს“



გვ.4

„გირჩი“ ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებს“

ჩვენი საარჩევნო სია სერიოზულად განახლდება, ისეთი ხალხი მოვა პარტიაში, რომლისთვისაც ქვეყნის ინტერესებია მთავარი, თორემ, ხომ ხედავთ, მეოცნებეების ხელში საქართველო ხელიდან გაქრა.

## მამუკა ახვლედიანი: „ჩემი განცხადებების გამო დამსაჯეს“





გვ.2

ლევან მურუსიძე: „მამუკა ახვლედიანი ცუდი მენეჯმენტის გამო მოვხსენით“

## ნინო გვენეტაძე: „მამუკა ახვლედიანი დარღვევების გამო გადააყენეს“

გვ.3



„მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი მოწმეებს დაიცავს“

## უკრაინის პრემიერად სააკაშვილის კანდიდატურა განიხილება



გვ.5

სააკაშვილი ამბობს, რომ ოდესის გუბერნატორის პოსტის დატოვებას არ აპირებს და მომდევნო 2 თვის განმავლობაში უკრაინის სხვადასხვა რეგიონში კორუფციასთან ბრძოლის საკითხზე ფორუმების ჩატარებას გეგმავს.



ISSN 1987-9385

გვ.3

## გელა ნიკოლაიშვილი: „მოსამართლეთა 90% შესაცვლელია“

„სასამართლოს ახალი კადრები სჭირდება“

## ირინა ფუტკარაძე: „სასამართლო სისტემაში სერიოზული განუკითხაობაა“

გვ.4



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

ნონა ცაბაძე

# მამუკა ახვლედიანი: „ჩემი განცხადებების გამო დამსაჯეს“



ლევან მურუსიძე: „მამუკა ახვლედიანი ცუდი მენეჯმენტის გამო მოვხსენით“



**საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შორის დაწყებული დავა იმით დასრულდა, რომ იუსტიციის საბჭომ მამუკა ახვლედიანი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა.**

**„ახალი თაობა“ ორივე მხარის, მამუკა ახვლედიანისა და ლევან მურუსიძის, კომენტარს გთავაზობთ.**

საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი მიიჩნევს, რომ მისი თანამდებობა მის განცხადებებს შეეწირა. ახვლედიანის განცხადებით, არავინ დაინტერესებულა იმ ფაქტზე, რომელიც საგამოცდო ტესტების გაჟონვის სკანდალს ეხებოდა.

– მოკვლევა ჩავატარეთო. რა მოკვლევაზე საუბრობენ, შევარდნაძის პერიოდშიც კი აღარ იხმარებოდა ეს ტერმინი. რას ნიშნავს მოკვლევის ჩატარება?! ჩემთვის გასაკვირია, როდესაც საბჭოს მდივანი, რომელიც საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეც არის, თვითონვე ახდენს ამ ე.წ. მოკვლევას თავისივე კომისიაში და შემდეგ კაცმა არ იცის, რა მასალები გადააგზავნეს პროკურატურაში.

ამ საქმეში ჩართულია სასამართლო სისტემის ბევრი მაღალჩინოსანი, ასევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და გამოკითხა მან ეს ხალხი თუ როგორ გაიგო, რომ არავინ ჩართული არ არის ამ საკითხებში?!

***– საბჭოს წევრებიც მონაწილეობდნენ ამ სკანდალში, რომელიც საგამოცდო ტესტების გაჟონვას უკავშირდება?***

– მე ასე პირდაპირ ვერც ერთ ადამიანს ხელს ვერ დავადებ. არა მხოლოდ ერთი, შესაძლოა, ამ საქმეში ბევრი მოსამართლე იყოს ჩართული. ტესტებზე პირდაპირი წვდომა ჰქონდათ ლევან მურუსიძეს და ნინო გვენეტაძეს. მე ძალიან მაინტერესებს, რატომ იყო დუმილი სამი თვის განმავლობაში ამ საკითხებზე?!

ჩემთვის წარმოუდგენელია, რა მოიკვლია საბჭომ. ბევრი ფაქტი და დარღვევა იყო თვითონ ამ გამოცდების პერიოდში. როცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა ჩართული, როცა მოსამართლეები არიან ჩართული, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს პროკურატურა და არ გამოვრიცხავ, რომ დროებითი საპარლამენტო კომისიაც შეიქმნას ამ საკითხთან დაკავშირებით.

***– რატომ მოხდა თქვენი გადაყენება, რას უკავშირებთ ამას?***

– მე მიმაჩნია, რომ ჩემი განცხადებების გამო დამსაჯეს. დროთა განმავლობაში ბევრი დაინახავდა იმ სიმართლეს, რაც სასამართლო სისტემაში ხდება. ამის ყველაზე მეტად ეშინიათ, შესაძლოა, ბევრი მომხრე გამეჩინა სასამართლო სისტემაში. ეს ფაქტი პირდაპირ კავშირშია ჩემს განცხადებებთან.

ის გადაწყვეტილებები, რაც მე მაქვს მიღებული და რის გამოც მედავებიან, სხვა სასამართლოს თავმჯდომარეებსაც აქვთ მიღებული. მე მოსამართლეებს დავავალე, რომ განეხილათ სხვა კატეგორიის საქმეებიც. როცა მოსამართლეს 800 საქმე აქვს დაწერილი, ამაში რა არის გასაკვირი?! მოსამართლეთა სიმცირის გამო, თავმჯდომარეს ამის უფლება აქვს, რომ სხვა კოლეგიას დააკისროს საქმის განხილვა.

ჩემი გადაყენება უკავშირდება იმ პრობლემებს, რომლებზეც ღიად დავიწყე საუბარი.

* * *

***ლევან მურუსიძე:***

– მამუკა ახვლედიანის გათავისუფლება მოხდა ორი მიზეზის გამო. ერთი არის ის, რომ საკითხი ეხებოდა საქმეთა განაწილების პრინციპს, ხოლო მეორე და ყველაზე მთავარი, რის გამოც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ეს გადაწყვეტილება, არის ის, რომ საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდებოდა ეფექტური მენეჯმენტი.

***– ეფექტური მენეჯმენტის არგანხორციელებაში რა იგულისხმება?***

– ის, რომ როგორც თავმჯდომარე, ეფექტურად ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას და შესაბამისად იქნა მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება. მინდა კატეგორიულად განვაცხადო, რომ მამუკა ახვლედიანთან, როგორც მოსამართლესთან, არავითარი პრეტენზია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ წაუყენებია.

***– ანუ არ მომხდარა მისი დევნა, როგორც თავად აცხადებს?***

– არა. ის რჩება საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ. მას ასევე აქვს სრული უფლება, როცა ამის სურვილი ექნება, გამოხატოს თავის პოზიცია და ისაუბროს სასამართლოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

იუსტიციის საბჭოს სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნის და გადაყენების უფლება აქვს. მისი, როგორც მოსამართლის, დევნა არ განხორციელებულა.

***– პოლიტიკური განცხადების გამო ვიდევნებიო, აცხადებს ახვლედიანი.***

– რას უწოდებს პოლიტიკურ განცხადებებს?! მას დღესაც შეუძლია აკეთოს ეს განცხადებები. არავინ ამაში ხელს არ შეუშლის. თუმცა ერთი რამ მინდა აღვნიშნო, როდესაც სასამართლო კორპუსი თვეების განმავლობაში პრობლემებზე საუბრობდა, საუბრობდა იუსტიციის მინისტრთან, საუბრობდა პარლამენტთან თუ პრეზიდენტთან, არავის ახსოვს შემთხვევა, რომ აღნიშნულ პრობლემებზე, რომელთაც ახლა აყენებს ახვლედიანი, მას ამ ხნის განმავლობაში ხმა ამოეღოს და თავისი პოზიცია გამოეხატოს.

***– აბა, რა შეიცვალა ამ მოკლე დროში?***

– ნიშანდობლივია, რომ როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ წამოვიდა ცილისმწამებლური განცხადებების ნიაღვარი, დაიწყო საუბარი იმაზე, რომ იუსტიციის საბჭო უნდა გადადგეს, მხოლოდ მაშინ გამოვიდა და თქვა, რომ იუსტიციის საბჭო ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და ის უნდა წავიდეს. ანუ მისი განცხადებები თანხვედრაში მოვიდა არასამთავრობოების პოზიციებთან. მანამდე ერთი კრიტიკული შენიშვნაც კი არ გამოუთქვამს.

მოიკითხეთ ერთი, მისი თავმჯდომარეობის პერიოდში რა ხდებოდა საქალაქო სასამართლოში.

***– ასეთი რა ხდებოდა?***

– ხდებოდა ის, რომ სრულიად არაეფექტურად ხორციელდებოდა მენეჯერული საქმიანობა. ამიტომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება.

***– მის ადგილს ვინ დაიკავებს?***

– მის ადგილს იკავებს ის ადამიანი, რომელიც ცვლიდა მამუკა ახვლედიანს მაშინ, როდესაც ის მთელი კვირეების განმავლობაში არ დადიოდა სამსახურში.

***– ვრცელდება ინფორმაცია, რომ მამუკა ახვლედიანი თქვენს მოწინააღმდეგე არასამთავრობო ორგანიზაციებს გაურიგდა. რამდენად დაადასტურებთ ამას?***

– მე არ მინდა დღეს ამ ეჭვებზე და შეთქმულების თეორიაზე ვისაუბრო, თუმცა საზოგადოებისთვის რომ ნათელი იყოს, ერთს დავამატებდი – იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რამდენჯერმე მოვიწვიეთ არასამთავრობო სექტორი. ისინი არც ერთხელ ჩვენთან არ მოსულან, ხოლო პირველივე დაძახებაზე მიდიან მამუკა ახვლედიანთან.

კი ბატონო, ჩვენ არ გვაქვს პრობლემა, იარონ, მაგრამ ერთ მოსამართლეს რომ ხვდები 280-დან, ხომ შეიძლება სხვა მოსამართლეების აზრიც იკითხო?! რამდენი დავუძახეთ ახვლედიანს, არც ის მოვიდა, ბიულეტენზე ვარო და ამ დროს სხვაგან კარგად დადიოდა. ყველაფერს აქვს თავისი წესი და ფორმა! ეს არის ყველაზე დიდი სასამართლო და მისი განვითარება სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა.

შორენა მარსაგიშვილი

# გენერალი ხრულევი კომაში ჩავარდა

## – გამოიყენეს და მოიშორეს, – ამბობს მისი ოჯახი

**რუსეთის 58-ე არმიის ყოფილი მეთაური, აგვისტოს ომის გმირი გენერალი ანატოლი ხრულევი კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება. ოჯახის წევრების ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ გენერალი მოწამლეს.**



ანატოლი ხრულევი აფხაზეთის გენერალური შტაბის უფროსი გახლავთ. სააგენტო „ნიუპოსტს“ სოხუმიდან აცნობეს, რომ რუსი გენერალი თანამშრომლებმა საკუთარ კაბინეტში უგონო მდგომარეობაში ნახეს. დაცვის წევრებმა ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც პაციენტის ოჯახი ამბობს, გენერალი გამოიყენეს და შემდეგ მის თავიდან მოცილებას შეეცადნენ.

ოჯახის წევრების განმარტებით, ხრულევთან იმ დღეს მათთვის და დაცვისთვის უცნობი 2 ადამიანი შევიდა. გენერალმა მათთან ერთად ყავა დალია, სტუმრების წასვლის შემდეგ კი კომაში ჩავარდა.

ამ ინფორმაციის შესახებ აფხაზური მედია არაფერს წერს. იქ მხოლოდ იმაზე საუბრობენ, რომ ვილაცებს ხრულევთან დაკავშირებით რაღაც პრეტენზიები ჰქონდათ.

ანატოლი ხრულევს თავში ყველაფერი წესრიგში არ ჰქონდა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ის თავის არეში მძიმედ დაიჭრა.

ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ქართული არმიის ქვედანაყოფებმა რუსულ კოლონაზე იერიში მიიტანეს. დაჭრილი გენერალი ვლადიკავკაზში გადაიყვანეს. მოგვიანებით ის აცხადებდა, ჩემს არმიას თბილისის აღება შეეძლო, მაგრამ ვილაცას შეეშინდა ასეთი გამარჯვებისო.

აფხაზეთის გენერალური შტაბის უფროსად ის გასული წლის ზაფხულში დაინიშნა.

აფხაზთა ლიდერი რაულ ხაჯიმბა იმედს ამყარებდა ანატოლი ხრულევის გამოცდილებასა და ცოდნაზე, ხოლო თავდაცვის სფეროში აფხაზეთის ახალი ამოცანა რუსეთთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას უკავშირდებოდა.

ანატოლი ხრულევამდე აფხაზეთის გენშტაბის უფროსის პოსტი გენერალ ვლადიმირ ვასილჩენკოს ეკავა. მან ეს თანამდებობა 2014 წელს დატოვა. რაღაც მომენტში გენშტაბის უფროსის მოვალეობას ხუსეინ ანქვაბი ასრულებდა.

ხრულევის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციები, ალბათ, ამ დღეებში გავრცელდება.

* * *

ისე, საინტერესო რამეები კი ხდება აგვისტოს ომის მონაწილეებთან დაკავშირებით.

აგვისტოს ომის დროს სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტი გენერალ ანატოლი ბარანკევიჩს ეკავა. ცხინვალიდან კოკოითის გაქცევის შემდეგ ყველაფერი მან აიღო საკუთარ თავზე. ამისთვის ის დააჯილდოეს, თუმცა მოგვიანებით თანამდებობა დაატოვებინეს და სადღაც ჩრდილოეთში გადაისროლეს. იქ მას ავტომანქანა აუფეთქეს.

გაურკვეველ ვითარებაში დაშავდა გენერალი მარატ კულახმეტოვი. მას ომის დროს რუსი სამშვიდობოების სარდლის პოსტი ეკავა. ომის შემდეგ ის სხვაგან გადაიყვანეს. სადაც სამხედრო ბაზაზე აფეთქების შედეგად მძიმედ დაშავდა.

მაშინვე ითქვა, რომ ვილაცებს მისი ცოცხლად დატოვება არ სურდათ, რადგან ბევრი საინტერესო ამბავი იცოდა.

რუსული მხარე დღემდე აცხადებს, რომ ჯარების შეყვანა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ქართველმა სამხედროებმა მათ სამშვიდობოებს ცეცხლი გაუხსნეს. თბილისი კი დღემდე ამტკიცებს, რომ მშვიდობისმყოფელებისთვის ცეცხლი არ გაუხსნია.

ხრულევის ისტორია ახლა გაცილებით საინტერესოა, რადგან აგვისტოს ომის ფაქტებს ჰააგის სასამართლო სწავლობს. აგვისტოს ომის გმირს კი ბევრი რამ ეცოდინება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნინო გვენეტაძე: „მამუკა ახვლედიანი დარღვევების გამო გადააყენეს“

## „მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი მოწმეებს დაიცავს“

ნათია ხურცილავა



**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე მამუკა ახვლედიანის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტიდან გადაყენების შესახებ „ახალ თაობას" ესაუბრა.**

***— ქალბატონო ნინო, საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი აცხადებს, რომ მის გადაყენებასთან დაკავშირებით მოსამართლეთა დისციპლინურ კოლეგიას არ უმსჯელია. რამდენად კანონიერად მოხდა მისი განთავისუფლება თანამდებობიდან?***

— იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება აუცილებლად გამოქვეყნდება. ეს გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან კანონის საფუძველზე იქნა მიღებული. მამუკა ახვლედიანს აქვს სრული უფლება, რომ სასამართლოში იდავოს საბჭოს გადაწყვეტილების თაობაზე.

***— ის ამბობს, რომ უკანონოა მისი განთავისუფლება იქიდან გამომდინარე, რომ ბიულეტენზე იმყოფებოდა.***

— ამ დეტალებზე მე ახლა ყურადღებას არ გავამახვილებ. როდესაც ჩვენ გადაწყვეტილებას ვიღებდით, საბჭოს ჰქონდა ინფორმაცია. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა უკავშირდება საქალაქო სასამართლოში საქმეთა განაწილების წესს.

არა მხოლოდ პროცესის მონაწილე მხარეებს აქვთ ეჭვი საქმეთა განაწილების თაობაზე, არამედ პრეტენზიები არსებობდა მოსამართლეთა მხრიდანაც.

მოწმეთა დაკითხვის წესის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ დიდი სასამართლოები და მათ შორის საქალაქო სასამართლო იქნა თავისი ნორმატიული აქტებითა და თავმჯდომარის მიერ გამოცემული ბრძანებებით გადამოწმებული, სადაც დარღვევები იქნა დაფიქსირებული.

***— მამუკა ახვლედიანი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და თქვენს გადადგომას ითხოვს. რას უპასუხებთ?***

— ბატონი მამუკა ახვლედიანი ჩემსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების გადაყენებას ითხოვდა მანამდეც, ამის შესახებ მას აქვს რამდენიმე განცხადება გაკეთებული და ეს ახალი არ არის ჩემთვის.

***— ახვლედიანი აცხადებს, არ მოისმინა იუსტიციის საბჭომო.***

— ჩვენ, კოლეგიალურმა ორგანომ, კოლეგიალური გადაწყვეტილება მივიღეთ. რაც შეეხება დანარჩენს, მას აქვს სამართლებრივი უფლებები, გამოიყენოს და დაიცვას თავისი უფლებები. ძალიან უხერხულია ისეთ დეტალებზე საუბარი, რომლებიც არ შეიძლება განსჯის საგანი იყოს.

***— რაც შეეხება ტესტების საკითხს, რა ეტაპზეა მოკვლევა? თუ დადგინდა, ვის მიუწვდებოდა ტესტებზე ხელი?***

— მასალები გადაგზავნილია პროკურატურაში. აბსოლუტურად ღიაა ამ საკითხზე ყველაფერი. ამიტომ, ბატონი ახვლედიანის ეჭვები, მისი ეჭვებია.

***— ვინ შეიძლება ახვლედიანი შეცვალოს?***

— საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი უკვე მუშაობს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ამ მოვალეობას გიორგი ებანოიძე ასრულებს.

***— შეიძლება ებანოიძე გახდეს საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე?***

— ჯერ ვერაფერს გეტყვით ამ საკითხზე.

***— მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი ამოქმედდა, რამდენად მზად შეხვდა სასამართლო ახალი წესის ამოქმედებას?***

— მოწმის დაკითხვაზე პროცესს ხელმძღვანელობას მოსამართლე გაუწევს. დაკითხვა დახურულ რეჟიმში იქნება, რაც მიანიშნებს იმას, რომ გამოძიების ეტაპზე მნიშვნელოვანი მოწმისგან გამოძიება მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მტკიცებულებას მოიპოვებს.

***— ეს ის მოწმეები იქნებიან, ვინც უარს განაცხადებენ პროკურატურაში მისვლაზე და იქ ჩვენების მიცემაზე?***

— საუბარია ძირითადად მოწმეთა იმ კატეგორიაზე, რომლებიც გამოკითხვაზე უარს ეტყვიან როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარეს. გამოკითხვა ნებაყოფლობითი საპროცესო მოქმედებაა. თუკი პირი გამოკითხვაზე უარს აცხადებს, მას გამომკითხავი მხარე, ბრალდების მხარე აფრთხილებს სასამართლოში შესაძლო გამოძახების და მოწმედ დაკითხვის შესახებ. ასევე აფრთხილებს ცრუ ჩვენების, ცრუ დასმენის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. სასამართლოში მოწმის დაკითხვის ფენომენი და ამ უფლებების მაღალ გარანტიაში წარმოდგენა დასაკითხ პირს დაცულობის გარანტიას აძლევს.

***— როგორ?***

— დაკითხვის დროს არ იქნება მის მიმართ რაიმე სახის მუქარა, ფსიქოლოგიური ზეწოლა, შანტაჟი, ჩვენების გამოძალვა და ა.შ. პროცესს უხელმძღვანელებს მოსამართლე. თვითონ მოსამართლე არ დაკითხავს მოწმეს. ეს ეხება სასამართლოში არა არსებითი განხილვის დროს მოწმის დაკითხვას, არამედ საუბარია გამოძიების ადრეულ ეტაპზე მოწმის დაკითხვაზე.

საქალაქო სასამართლოს ამისთვის ახალი შენობა დაეთმო, სადაც ყველა პირობაა იმისთვის, რომ ეს პროცესი დაბრკოლების გარეშე წარიმართოს. ეს არის მოწმის უფლებების დასაცავად ძალიან მაღალი სტანდარტი.

***— ქალბატონო ნინო, ვინ იქნება გარანტი, რომ მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი რეალურად უზრუნველყოფს მოწმის უფლებებს, მის დაცულობას?***

— მოსამართლეთა კორპუსი, ის მოსამართლეები, რომლებიც გაუწევენ ამ პროცესს ზედამხედველობას. ეს გარანტიები სასამართლომ უნდა შექმნას. ამიტომ აქვს სასამართლოს მაღალი პასუხისმგებლობა. ამიტომ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა, ის შენობა, სადაც მოხდება მოწმეთა დაკითხვა. საკანონმდებლო ცვლილებები მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქართული მართლმსაჯულების მეტ გამჭვირვალობას და მართლმსაჯულების მიმართ მოქალაქეთა ნდობის ხარისხის ამაღლებას.

ნონა ცაბაძე

# გელა ნიკოლაიშვილი: „მოსამართლეთა 90% შესაცვლელია“

**სასამართლო სისტემაში განვითარებულ პროცესებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გელა ნიკოლაიშვილი საუბრობს.**

***— ბატონო გელა, საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი მოხსნეს. ის ამბობს, რომ ამით დასრულდა საქალაქო სასამართლოს თავისუფლება. რას იტყოდით აღნიშნულთან დაკავშირებით?***

— ორმაგი განცდა მაქვს ამ ფაქტთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, მისი გამოსვლების შემდეგ მოხდა მისი გათავისუფლება, ოღონდ სხვა მიზეზით და არა – კრიტიკული გამოსვლების გამო, ეს ეჭვს იწვევს. თუმცა, მეორე მხრივ, როდესაც თვითონ მამუკა ახვლედიანი ამბობს, რომ დასრულდა თავისუფალი სასამართლო, ესეც ცინიზმია.

***— რატომ არის ცინიზმი?***

— იმიტომ, რომ მამუკა ახვლედიანი წლების განმავლობაში იყო იმ სასამართლოს ხელმძღვანელი, რომელიც დამოკიდებული და შეზღუდული სასამართლოს სიმბოლო იყო. ანუ უუფლებო სასამართლოსი! აქედან გამომდინარე, მისი მხრიდან იმაზე ლაპარაკი, რომ აქამდე იყო დამოუკიდებელი სასამართლო და ახლა არ არის, დიდ ეჭვებს იწვევს. უნდა დაველოდოთ კონკრეტული ფაქტების წარმოჩენას ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც.

***— ორივე მხარემ უნდა დადოს ფაქტები?***

— რასაკვირველია. ამბობენ, რომ გადაცდომას ჰქონდა ადგილი მამუკა ახვლედიანის მხრიდან ამ საქმეთა განაწილების პრინციპში და კონკრეტული მაგალითები უნდა წარმოადგინოს იუსტიციის საბჭომ.

მეორე მხრივ, მამუკა ახვლედიანმა უნდა წარმოადგინოს კონკრეტული მტკიცებულებები იმისა, რომ ვილაცა მასზე ზეწოლას ახდენდა რაღაცის გამო, ან რაღაცას უკვეთავდა. უნდა დაასაბუთოს, რას გულისხმობს, როდესაც ამბობს, რომ დასრულდა დამოუკიდებელი სასამართლო.




ამ დრომდე მას ერთი განცხადებაც კი არ აქვს გაკეთებული და მისი არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. დაახლოებით 7-8 წელია, მამუკა ახვლედიანი ამ სასამართლოს თავმჯდომარეა და ამ ხნის განმავლობაში ხმა არ ამოუღია. იმდროინდელ სასამართლოში ყველაფერი მოსწონდა?!

***— ანუ რასთან გვაქვს საქმე?***

— ამ ყველაფერს უდის იმის სუნი, რომ ახალი ხელმძღვანელობის მიმართ პოლიტიკური და პოზიციური დაპირისპირება აქვს. ვნახოთ, ყველაფერი გამოჩნდება. რაიმეს გადაჭრით თქმა ამ ეტაპზე ძნელია.

***— ითქვა ისიც, რომ ნაციონალებთან და იმ არასამთავრობოებთან არის შეკრული, რომლებიც დღეს ასე აქტიურობენ.***

— ფაქტია, რომ მათი პოზიციები ემთხვევა ერთმანეთს და ერთნაირად ხმოვანდება. ეს ნიშნავს იმას, რომ მამუკა ახვლედიანმა დაიწყო დამოუკიდებელ სასამართლოზე ზრუნვა? ესეც შეიძლება მოხდეს, შესაძლებელია, ოდესღაც გაუნათდეს ადამიანს აზრი, მაგრამ მას თუ იმის მტკიცება უნდა, რომ ნაცების დროს დამოუკიდებელი სასამართლო არსებობდა და დღეს დაიქცა, ეს არის რეალობის სრულიად საპირისპირო.

***— რატომ, რეალობა სხვაა?***

— დიახ. მე პრაქტიკაში ვხედავ, რომ ძირითადად დამოუკიდებელია სასამართლო. დადებითი ნაბიჯების გადადგმისთვის მოსამართლეებს არავინ სჯის. ადრე რა ხდებოდა, ყველამ იცის. მოსამართლე ერთ ნაბიჯს ვერ გადადგამდა გვერდზე, ყველანაირად შეზღუდულები იყვნენ. დღეს რომ ამბობს მურუსიძე, რომ ჩვენ უუფლებოები ვიყავითო, ეს რეალურია. დღეს ეს თავისუფლება რომ არ ჰქონდეთ, გამოვიდოდა ახვლედიანი და ასე ისაუბრებდა?!

***— ანუ შიგნით ისევ მიდის ბრძოლა წინა რეჟიმის და ახალი ხელისუფლების მომხრე მოსამართლეებს შორის?***

— ეგ თავისთავად, თუმცა, მე უფრო ვიტყოდი, რომ არის ბრძოლა იმ მოსამართლეებს, რომლებიც სასათბურე პირობებში იყვნენ, ყველაფერი ჰქონდათ და დამოუკიდებლობა აშინებდათ და მათ შორის, ვინც რეჟიმის დროს დისკომფორტს გრძნობდა და შინაგანად სიტუაციის შესაცვლელად მიილტვოდა. ეს ორი სხვადასხვა მიდგომაა. დღეს გალია ღიაა და ყველა მოსამართლეს შეუძლია, თავისუფლად იმოქმედოს.

***— რატომ გაეხვია დღეს სასამართლო კრიტიკის ქარცეცხლში? რატომ ისმის ამდენი ბრალდება?***

— მე არ ვთვლი, რომ სასამართლოში ძალიან ცუდი მდგომარეობაა. მე ვფიქრობ, რომ სასამართლოში მდგომარეობა რადიკალურად იცვლება, ოღონდ თანდათანობით და ამას თავისი სიძნელეები ახლავს.

მთავარი პრობლემა დღეს არის ის, რომ საქმეების უამრავი რაოდენობაა, თითო მოსამართლეს ასზე მეტი საქმე აწერია და რაც უნდა კვალიფიციური იყოს მოსამართლე, კვალიფიციურად ვერ განიხილავს 100 და 200 საქმეს ერთდროულად.

***— რატომ შეიქმნა ეს სიტუაცია? რატომ არ ინიშნებიან ახალი მოსამართლეები?***

— ეგ არის მთავარი პრობლემა. ეს დღევანდელი ხელისუფლების სწორედ იმ ნაკლის გამოვლენაა, რასაც ჰქვია გაუბედაობა. წინა ხელისუფლება ერთი ხელის დაკვრით ყველაფერს ძალიან სწრაფად აკეთებდა, ეს ხელისუფლება კი ყველაფერს უდგება დიდი სიფრთხილით და სიმფრთხალით. ამით კი საქმე ფუჭდება.

ნებისმიერი ხილი მაშინ უნდა მოწყვიტო, როდესაც მწიფეა, არც მკვახე ვარგა და არც – გადამწიფებული. ოქროს შუალედი აქვს მოსაძებნი ხელისუფლებას და ამას ვერ მიაგნო ამდენი სიფრთხილის გამო.

***— ხელისუფლება აცხადებს, რომ სასამართლოში რეფორმა გაგრძელდება და მესამე ტალღა დაარქვეს ახალი ინიციატივას, რომელსაც პარლამენტი განიხილავს. ამაზე რას იტყვით?***

— მე ვეტყოდი ხელისუფლებას, რომ მოსამართლეების 90%, ასეა თუ ისე, ძალიან ცუდ საქმეში არის გასვრილი. ამიტომ ძველი მოსამართლეების 90% არ უნდა დაინიშნოს ახალი ვადით. ძირითადად უნდა დანიშნონ ახალი კადრები. ახალ სტანდარტებს ახალი კადრები უფრო გამოადგება, ვიდრე ძველი და თუნდაც წესიერი, რომელიც წლების მანძილზე შეჩვეული იყო იმას, რომ ფორმალური იყო მისი საქმიანობა და ცარიელი ფურცელიც რომ მიეტანა პროკურორს, იმასაც მტკიცებულებად უთვლიდა.

აუცილებელია, ახალი კადრებით დაკომპლექტდეს სასამართლო, ოღონდ კარგად დატრენინგებული და მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრებით. ასეთები ცოტანი არ არიან.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მიხეილ მაჭავარიანი: „ქართული ოცნება“ საარჩევნოდ არეულობას აპირებს“

## „გირჩი“ ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებს“

შორენა მარსაგიშვილი

**აპირებენ თუ არა ნაციონალები არეულობის მოწყობას, რატომ „გადააგდო" ისინი გიორგი კვირიკაშვილმა, რაში მიბაძავენ ერდოღანს, ვინ შეჰყავთ საარჩევნო სიაში, რა დავალება მიიღეს „გირჩებმა" ხელისუფლებისგან – ამის შესახებ „ახალ თაობას" ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრება.**

***– თქვენმა ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ წლევანდელ საპარლამენტო არჩევნებს ნაცმოძი მოიგებს. თქვენი აზრით, რის საფუძველზე აკეთებს ოდესის გუბერნატორი ასეთ პროგნოზს? ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ არეულობის მოწყობის ხარჯზე აპირებთ გამარჯვების გაფორმებას.***

– რას ჰქვია, რის საფუძველზე გააკეთა ასეთი განცხადება? თქვენ რა, ეჭვი გეპარებათ, რომ არჩევნებს ჩვენ მოვიგებთ? ეს ასე იქნება და ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. ჩვენ საარჩევნო სიაში ბევრი ახალი ადამიანი გვეყოლება. მათი გამოცდილება პარლამენტისთვისაც და მთავრობისთვისაც, მნიშვნელოვანთან ერთად, საინტერესოც იქნება.

პარტიის განახლება აუცილებელია, მოგეხსენებათ, რომ ნაციონალური მოძრაობა 2000 წლიდან არსებობს. 2003 წელს ამ პარტიას ჩვენ, „ბურჯანაძე-დემოკრატები“ შევუერთდით და, იქიდან მოყოლებული, სულ ახალი სახეების ძიებაში ვართ.

არჩევნების მოგებაში ის გამოცდილებაც დაგვეხმარება, რომელიც დაგვიგროვდა. უუნარო ხელისუფლების შემხედვარე მოსახლეობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქმის კეთება ჩვენს პარტიას შეუძლია. „ქართულმა ოცნებამ“ ყველა სფერო გაანადგურა, მათ შორის ჯანდაცვის სფერო.

***– ჯანდაცვის სისტემაში არსებულ ვითარებას ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ და წარმატებულს უწოდებენ.***

– წარმატებულს უწოდებენ, მაგრამ თავადაც აღიარებენ, რომ ამ სფეროში მიმდინარე პროგრამებს მალე დიდი პრობლემა შეექმნება. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას საქართველოს ბიუჯეტი მაქსიმუმ 3-4 წელი თუ გაუძლებს. ამას მე არ ვამბობ. ამაზე მათთან დაახლოებული ექსპერტები საუბრობენ.

კატასტროფული ვითარებაა ენერგეტიკაში, გადაზიდვებსა და ტურიზმში. აბა, გაიხსენეთ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ტურიზმისადმი იმ ბრძენ კაცს, გვარად ივანიშვილი რომ არის. ის ამბობდა, სააკაშვილს გადაჭარბებული მოლოდინი აქვს. მოკლედ რომ გითხრათ, სფერო არ დარჩა, რომელიც ამათ არ გააუბედურეს. ჩვენმა მოსახლეობამ საკუთარ ტყავზე იგრძნო ამათი პირველი და მეოთხე „საუკეთესო“ წელიწადიც. რომელიც ლარის რეკორდული გაუფასურებით აღინიშნა.

ეს ყველაფერი მაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ „ქართული ოცნება“ წლევანდელ არჩევნებს ვერ მოიგებს. ამას თავადაც აღიარებენ.



***– სად აღიარეს, არჩევნებს წავაგებთო?***

– საარჩევნო კანონმდებლობა რომ არ შეცვალეს, ეს იმის აღიარებაა, რომ არჩევნებს წააგებენ. წაგების შიში რომ არ ჰქონდეთ, ცვლილებებს აუცილებლად შეიტანდნენ, მით უმეტეს, თავად ითხოვდნენ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას. ამის მაგივრად ისე მიჩეხ-მოჩეხეს საარჩევნო ოლქები, თავადაც გაურკვევლობაში არიან ჩავარდნილი. ფონს გასვლას ამ აჯღაბუჯღა კანონით შეეცდებიან.

ჩვენ კი ძალიან მაგარი გუნდით წარვდგებით და ჩვენი ლიდერი არჩევნებისთვის ძალიან წარმატებული იქნება. მიშა სააკაშვილი უკრაინაში დიდ ამბებს მოაწყობს, რაც ჩვენი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი სტიმული იქნება.

***– უკრაინის ამბები რატომ იქნება ჩვენი მოსახლეობისთვის დიდი სტიმული?***

– ჩვენ უკრაინასთან ერთად გვეძლევა დიდი შანსი, ამ რთული სიტუაციიდან გამოვძვრეთ. ყველაფერი ისე ლაგდება, გამორიცხულია, „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ხელში აიღოს ძალაუფლება. შეიძლება, ძალიან სუბიექტური ვარ, მაგრამ ასე მგონია, რომ მათ 4 წლით ქვეყანას აღარავინ ანდობს.

აქ მთავარი პრობლემა არის ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ჩრდილიდან კი არ მართავს, არამედ ფლობს ამ ქვეყანას. გამორიცხულია, მან დილით გაიღვიძოს და იკითხოს – ახალი გზა დააგეთ? არც იმით დაინტერესდება, მოგვარდა თუ არა ქუთაისის წყალმომარაგების პრობლემა, რომლის მოუგვარებლობის გამოც ჩვენ გვსაყვედურობდნენ, სულ იმას გვაძახებდნენ, პარლამენტის შენობის გაკეთებას, წყლისთვის მიგეხედათო.

***– ისე, არ ჯობდა, პარლამენტის აშენების ნაცვლად წყალმომარაგების პრობლემა მოგეგვარებინათ?***

– პარლამენტიც საჭიროა, წყალსაც მოვაგვარებდით, მაგრამ არ დაგვაცალეს. „ქართული ოცნება“ 3 წელია ხელისუფლებაშია და ჭა მაინც გაეკეთებინათ.

***– ზემოთ თქვით, ივანიშვილი არავითარ შემთხვევაში არ იკითხავს, ახალი გზა თუ დაიგოო. რატომ უნდა იკითხოს, ის აღარ არის პრემიერი. მისი მთავარი საზრუნავი ახლა შეიძლება იყოს, ჭამა თუ არა რაიმე მისმა ზვიგენმა.***

– პრემიერი ოფიციალურად აღარ არის, თორემ სინამდვილეში ქვეყნის მფლობელია. მას მართლაც რომ სდომებოდა პოლიტიკიდან წასვლა, თავის დროზე არც პრეზიდენტს დაგვინიშნავდა და არც მისთვის სასურველ მერს დაგვანიშვნინებდა. ან იქნებ იმაში გეპარებათ ეჭვი, რომ ღარიბაშვილი მაგან გაუშვა. მე ვერ დავიჯერებ, რომ კაცს სიზმარში ვირთხები დაესიზმრა, შეეშინდა და პრემიერის თანამდებობა დატოვა.

კვირიკაშვილიც მან დანიშნა და რატომ გიკვირთ, რომ ივანიშვილმა უნდა იკითხოს, დაიგო თუ არა ახალი გზა. კვირიკაშვილზე ერთი კაი რამ გამახსენდა. მან ერთი წლის წინ დაიწყო საგადასახადო რეფორმა. 2 კვირის წინ თქვა, ვსიო, უკვე გადავდგით ამ მიმართულებით ნაბიჯიო.

***– არ გჯერათ, რომ ნაბიჯი გადადგა?***

– პარლამენტში კანონპროექტი არ შემოსულა და როგორ დავიჯერო.

***– კვირიკაშვილზე რადგან ვსაუბრობთ, მან პირობა დადო, ნაციონალებს შევხვდებიო. ახლა გაირკვა, რომ „გირჩებთან“ აპირებს შეხვედრას და რა ხდება, „გირჩა“ არჩია ნაცმოძს?***

– მოიცა, არ იცით, ამაზე რა მოხდა? ერთ-ერთ დახურულ ბიზნესფორუმზე კვირიკაშვილმა ჩვენზე თქვა, მაგათ თან მაკრიტიკონ და თან შემხვდნენ, ეგრე სად არისო.

***– დახურულ შეხვედრაზე თუ თქვა, თქვენ საიდან გაიგეთ?***

– იქ მყოფებმა სათითაოდ მოგვაწოდეს ეს ინფორმაცია. ჩვენ გვეგონა, კვირიკაშვილს რთული ვითარებიდან ქვეყნის გამოყვანის გზების ძიება სურდა, თურმე იმიტომ უნდოდა შეხვედრა, რომ აღარ გაგვეკრიტიკებინა.

წინა კვირაში პარლამენტის სხდომაზე „გირჩებმა“ პრემიერთან შეხვედრა მოითხოვეს. მათ პირდაპირ ვუთხარი – საშინაო დავალებად გაქვთ მოცემული ეს მოთხოვნა, რომ ჩვენთან შეხვედრის კომპენსაცია მოახდინოთმეთქი. ამას მაშინ მედიამ ყურადღება არ მიაქციეთ. ძალიან მაინტერესებს, რაზე უნდა ესაუბრონ „გირჩი“ და პრემიერი ერთმანეთს.

***– შესაძლოა, მარიხუანის დეკრიმინალიზაციაზე ისაუბრონ. „გირჩები“ ამ თემით ძალიან არიან დაინტერესებული.***

– ეს ცუდი სასაუბრო თემა არ იქნებოდა. სიმართლე გითხრათ, მარიხუანის დეკრიმინალიზაციის წინააღმდეგი არც მე ვარ. სამაგიეროდ, სასტიკად ვეწინააღმდეგები მის ლეგალიზაციას. ილაპარაკონ ამ თემაზე, მაგრამ მოსახლეობისთვის ეს არაა საინტერესო.

***– აღნიშნეთ, რომ „გირჩებს“ საშინაო დავალება ჰქონდათ მიღებული. ამას ისე არ იტყოდით და რაიმე ინფორმაცია გქონდათ მიღებული სარწმუნო წყაროებიდან?***

– წყარო და ნაკადული რად მინდა. ჩემი გამოცდილების ადამიანს რაღაც მეექვსე გრძნობა აქვს განვითარებული. ეს „გირჩა“ პარლამენტის სხდომებს არ ესწრება. მაშინაც კი არ მოდიან, მათ მიერ ინიცირებული კანონების განხილვა რომ ხდება. იმ დღეს მოცვივდნენ და თქვეს, პრემიერთან გვინდა შეხვედრაო. კვირიკაშვილიც უცებ გამოვარდა და პასუხი გასცა. ასე ოპერატიულად როგორ გაიგო ნეტავი.

***– რატომ ვერ უნდა გაეგო პრემიერს, თავად არ თქვით, სხდომაზე გააკეთა ეს განცხადებაო.***

– მერე რომ გააკეთა, მათი განცხადება არავის გაუშუქებია, პრემიერმა კი სასწრაფოდ გასცა ამ მოწოდებას პასუხი.

***– თქვენი აზრით, საიდან გაიგო?***

– „გირჩებმა“ მესიჯი მისწერეს, გიორგი, როგორც მოვილაპარაკეთ,

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ირინა ფუტკარაძე: „სასამართლო სისტემაში სერიოზული განუკითხაობაა“

**წინა ხელისუფლების პირობებში მოსახლეობის მიმართვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დიდი იყო და ისინი ძირითადად თავიანთი უფლებების დარღვევაზე აპელირებდნენ. ერთი შეხედვით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მდგომარეობაც შეიცვალა, თუმცა, რა სიტუაციაა რეალურად დღეს, ამ თემაზე „საზოგადოებრივი დამცველის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი ირინა ფუტკარაძე გვესაუბრება.**

***– ქალბატონო ირინა, თქვენ, როგორც „საზოგადოებრივი დამცველის“ ხელმძღვანელმა, რა შეგიძლიათ თქვათ ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით? თქვენს ორგანიზაციაში მოქალაქეთა მომართვიანობა გაიზარდა წინა წლებთან შედარებით, შემცირდა თუ იგივე დარჩა?***

– გააჩნია, რა მიმართულებით გულისხმობთ. შემიძლია გითხრათ, რომ წინა წლებში სერიოზული პრობლემა იყო კერძო საკუთრებასთან, დაკავებებთან დაკავშირებით. ჩვენი ორგანიზაცია ძირითადად მანიფესტაციებისა და შეკრებების მიმართულებით მუშაობს და წინა წლებში სერიოზული პრობლემები იყო ანუ წინა ხელისუფლება აკავებდა მანიფესტანტებს.

იყვნენ ადამიანები, რომლებიც საკუთარი ოჯახის წევრების უსაფრთხოებაზე წუხდნენ. ამ მიმართულებებით შედარებაც არ არის, ძალიან შემცირებულია მომართვიანობა. ჩვენ ამ ეტაპზე ძირითადად მიგრანტების პრობლემებით ვართ დაკავებული, თუმცა მაინც ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ ბევრად ნაკლებია მომართვიანობა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ არის პრობლემები. პრობლემები არის, მაგრამ სტატისტიკა აშკარად შემცირებულია.

ეს არა მარტო ჩემს, არამედ სხვა ორგანიზაციებთან მიმართებითაც შემიძლია ვთქვა.

***– ქალბატონო ირინა, თუ არის შემთხვევა, როცა არ მოგმართავენ და თქვენ საკუთარი ინიციატივით ერთვებით პროცესში?***

– როდესაც რეზონანსულია საქმე, ბუნებრივია, ვერთვებით და ჩართვის სხვადასხვა მექანიზმია. შეიძლება ვიყოთ საერთო განცხადებაზე ხელმომწერნი, შეიძლება დავიწყოთ სასამართლო მონიტორინგი ან ადვოკატირება გავუწიოთ დაკავებულ მოქალაქეს. და რატომ მკითხეთ?

***– ორი გახმაურებული საქმე მინდა შეგახსენოთ. ერთი მოსამართლე მამუკა ახვლედიანის გარშემო ატეხილი სკანდალია. ის თვლის, რომ უსამართლოდ გაათავისუფლეს და თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– ჩვენი ორგანიზაცია არ არის ჩართული ამ პროცესში. ჩვენ გვაქვს ის მწირი ინფორმაცია, რომელიც გადის ტელევიზიით და, შესაბამისად, ძალიან გამიჭირდება შეფასებების გაკეთება. ეს სიღრმისეულად შესასწავლი საკითხია.

მე შემიძლია ერთი ვთქვა – სასამართლო სისტემაში აბსოლუტურად სერიოზული განუკითხაობაა, მხოლოდ ბრალდებების ჭრილში მიმდინარეობს ურთიერთობა. გარკვეული არასამთავრობოები დაინტერესდნენ ამ საკითხით და, არ არის გამორიცხული, რომ მალე ჩვენც ჩავერთოთ. უბრალოდ, ძალიან ძნელია ის, რომ, სწორად გამიგეთ, იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც ადრე ჰქონდათ შეხება სასამართლოებთან, ძალიან კარგად ვიცით, თუ რა და როგორ ხდებოდა. ძალიან კარგად ვიცნობთ მოსამართლეებსაც და...

***– რას გულისხმობთ?***

– ძალიან რთულია, როდესაც... ცალსახად გეტყვით, რომ ამ სისტემაში ძალიან ბევრი რამ არის დასალაგებელი. არიან მოსამართლეები, რომლებსაც არაერთი გადაცდომა აქვთ, არაერთი უკანონო განაჩენი აქვთ გამოტანილი და ეს არის ფაქტი. დღეს ასეთი მოსამართლეები იქით გვარიგებენ ჭკუას და ადანაშაულებენ ვიღაცებს. ეს ეხება მოსამართლეთა ძალიან დიდ კორპუსს. დაახლოებით 70%-ს ხმის ამოღების უფლება არ აქვს და ამ 70%-ში გადის როგორც ახვლედიანი, ისე მურუსიძე და სხვები და სხვები...

ახლა კი რას ვხედავთ – მიდის ურთიერთბრალდებები და ეს მაშინ, როცა ისინი არიან წინა ხელისუფლების დაკვეთის კარგად შემსრულებლები და მათ დღეს ბევრ რამეზე მორალური უფლება არ აქვთ, მაგრამ სამართლებრივად ჩიხია, მორალურად კი... არ აქვთ ხმამაღლა საუბრის უფლება.

***– ქალბატონო ირინა, 2015 წლის დეკემბერში სამსახურებიდან გაუშვეს სოციალური სააგენტოების ხელმძღვანელთა უმრავლესობა, ახლა თანამდებობები დაატოვებინეს საოლქოსაარჩევნო კომისიის წევრებს და ისინი აცხადებენ, რომ მათი დევნა პოლიტიკური ნიშნით მოხდა. ეს მაშინ, როცა რეალურად შესაძლოა მხოლოდ რამდენიმე მათგანი იყო ამა თუ იმ***



***პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი, დანარჩენები კი, უბრალოდ, ნეიტრალური საჯარო მოხელეები იყვნენ... მათი უფლებები რამდენად დაირღვა?***

– ეს არის თემა, რომელიც მოითხოვს შესწავლას. თუ ისინი მოგვმართავენ, ჩვენ შევისწავლით და შევეცდებით, გავუწიოთ დახმარება. არა ყველას, მაგრამ რამდენიმე საქმეს აუცილებლად გავყვებით.

თუ საბოლოო ჯამში გამოიკვეთება ის, რომ ამ ადამიანებს ჩაბარებული აქვთ გამოცდები (ამ შემთხვევაში სოციალური სააგენტოების ხელმძღვანელებს ვგულისხმობ) და, ამის მიუხედავად, გაათავისუფლეს და დანიშნეს პარტიული აქტივისტები, მაშინ საქმე გვექნება სისტემურ დანაშაულთან. ზეპირად საუბარი ძნელია, შესასწავლია ეს ყველაფერი. თუ ერთი და იგივე ხელწერა იქნება ყველგან, მაშინ გადაცდომა სახეზე იქნება.

ისე, ერთს დავამატებ – ერთი მხარე ამტკიცებს, რომ პოლიტიკური ნიშნით გაუშვეს სამსახურიდან, მეორე მხარე კი ამტკიცებს, რომ წინა ხელისუფლების კადრები ისევ სამსახურებში არიან მოკალათებულნი. ასე რომ, საუბარი ზეპირად რთულია.

# უკრაინის პრემიერად სააკაშვილის კანდიდატურა განიხილება



შორენა მარსაგიშვილი

**მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის რადამ პრემიერ იაცენიუკის გადაყენება ვერ შეძლო, მისი გადაყენების საკითხი კვლავ აქტუალურია. უფრო მეტიც, დეპუტატების ნაწილი ამ პოსტზე საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დანიშვნას ითხოვს.**

ეს საკითხი დღის წესრიგში საპარლამენტო ფრაქცია სამოპომოშჩმა დააყენა. ამ ინფორმაციას პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ეგორ სობოლევი ავრცელებს.

მისი თქმით, ფრაქციის შიგნით, მიხეილ სააკაშვილის გარდა, კიდევ ორ კანდიდატზე მსჯელობდნენ, რომელთა დასახელებასაც მომავალში აპირებენ.

თავად მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ოდესის გუბერნატორის პოსტის დატოვებას არ აპირებს და მომდევნო 2 თვის განმავლობაში უკრაინის სხვადასხვა რეგიონში კორუფციასთან ბრძოლის საკითხზე ფორუმების ჩატარებას გეგმავს.

სამოპომოშჩი მმართველ კოალიციაში შედიოდა. კოალიცია მან 18 თებერვალს დატოვა. მის გარდა, კოალიციიდან სხვა ფრაქციებიც გავიდნენ.

დეპუტატების პროტესტი რადას გადაწყვეტილებას მოჰყვა, რომელმაც იაცენიუკის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება ვერ შეძლო.

რადას გადაწყვეტილება უკრაინელ დეპუტატებზე არანაკლებ მტკივნეულად აღიქვა სააკაშვილმა.

მისი თქმით, უკრაინაში ოლიგარქიული გადატრიალება-რევანში მოხდა.

— დარწმუნებული ვარ, მაიდანის დღეებში ვერავინ ივარაუდებდა, რომ ორ წელიწადში უკრაინა იმავე ოლიგარქების ხელში აღმოჩნდებოდა, რომელთა წინააღმდეგაც იდგა მაიდანი და თქვენი ქალაქის ბევრი მკვიდრი, რომ კორუფცია ისევ ისე და უფრო მეტადაც იქნებოდა, ვიდრე იყო, სიღარიბე კი გაიზრდებოდა, მთავრობაშიც და პარლამენტში ამის შესახებ გაგონება არ სურთ, არ სურთ ილაპარაკონ და აღიარონ, მაგრამ ფაქტი ფაქტია და ის ერთია — უკრაინაში ოლიგარქიული გადატრიალება-რევანში მოხდა, — განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ახლა ჭეშმარიტების მომენტი დადგა.

— ჭეშმარიტების მომენტი ყველა პოლიტიკური ძალისთვის, რომლებიც მზად არიან, ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა აიღონ და ჭეშმარიტების მომენტი უკრაინელი ხალხისთვის, ყველა ჩვენგანისთვის. ეს ნამდვილად ჭეშმარიტების მომენტია მთავრობისთვის, პრეზიდენტისთვის, ხელისუფლებისთვის, რადასთვის, მაგრამ ეს ჩვენი პასუხისმგებლობაა, — განაცხადა სააკაშვილმა.

სააკაშვილის შესაძლო გაპრემიერებაზე პირველად გასულ წელს ალაპარაკდნენ. მაშინ ამ მოთხოვნით უკრაინელებმა ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყეს.

სააკაშვილი მაშინაც ამბობდა, რომ პრემიერობა მის გეგმებში არ შედიოდა, იაცენიუკის გარემოცვა კი აცხადებდა, რომ ამ ყველაფრის უკან საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი იდგა.

## ირაკლი ალასანია: „სასამართლოში მოსამართლეების გაკონტროლების პროცესი მიმდინარეობს



— ახლა სასამართლოში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდა სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის დროს, მაშინ, როცა ადეიშვილმა გადაწყვიტა მთელი სასამართლო ხელისუფლების ხელში ჩაგდება.

მურუსიძე აგრძელებს მუშაობას სააპელაციო სასამართლოში და ჩემთვის ძალიან გულდასაწყვეტია, რომ მის გვერდით დავინახე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც. ისინი ერთობლივად აგრძელებენ ზეწოლას და კონტროლს სასამართლოზე. მე მგონია, რომ ამას სჭირდება პოლიტიკური ნება, „ქართულ ოცნებას“ კი ეს პოლიტიკური ნება არ აქვს, იმისათვის რომ სასამართლო იყოს თავისუფალი, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

მისივე თქმით, არჩევნების შემდეგ ეს საქმე „თავისუფალმა დემოკრატებმა“ თავის თავზე უნდა აიღონ.

## ჩაქვში მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია



პირი, რომელმაც ჩაქვში მამაკაცი მოკლა, დაკავებულია. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს.

უწყების ინფორმაციით, შემთხვევა ქურდულ გარჩევას არ უკავშირდება და მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.

— პირი, რომელსაც მკვლელობა ბრალდება და მოკლული მშენებლობაზე ერთად მუშაობდნენ. ისინი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რა დროსაც ურთიერთშელაპარაკება მოუვიდათ, — განმარტეს შსს-ში.

ჩაქვში მკვლელობა რამდენიმე საათის წინ მოხდა. მოკლული 40 წლამდე ასაკის მამაკაცია.

**ინტერპრესნიუსი**

## მაია ნიკოლეიშვილი: „ბიძინა კუჭავას ფეხზე დაზიანება, სავარაუდოდ, გარდაცვალების დღეს აქვს მიყენებული“



— ბიძინა კუჭავას ფეხზე დაზიანება, სავარაუდოდ, გარდაცვალების დღეს აქვს მიყენებული და არა რამდენიმე დღით ადრე — ამის შესახებ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში ჩატარებული რამდენიმესაათიანი მიკროსკოპული გამოკვლევის შემდეგ „ინტერპრესნიუსს“ დამოუკიდებელმა ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა განუცხადა.

იგი „საქართველოს ხმის“ დამფუძნებლის, გარდაცვლილი ბიძინა კუჭავას ოჯახის თხოვნით არის ჩართული საგამოძიებო მოქმედებებში.

დასახელებული ვერსიით, ბიძინა კუჭავამ ფეხი „ბარგალკით“ დაიზიანა, მაშინ როდესაც პროკურორ ვახტანგ ქირიას ცხედარს იმავე ხელსაწყოთი ანაწევრებდა.

**მაია ნიკოლეიშვილი:**

— დღეს ჩატარდა კუჭავას ტერფის მიდამოდან აღებული კანის პრეპარატის მიკროსკოპული გამოკვლევა. ეს არ იყო ხანდაზმული ჭრილობა.

დაცვისა და ბრალდების მხარის ინტერესებიდან გამომდინარე, ზუსტად ვერ დავასახელებ, რამდენი ხნის წინ შეიძლება ყოფილიყო ჭრილობა მიყენებული, თუმცა, უხეშად რომ ვთქვათ, ბიძინა კუჭავას ეს ჭრილობა მიყენებული აქვს სიცოცხლის ბოლო დღეს.

მისი თქმით, ჯერ არ მომხდარა იმ ხელსაწყოს ექსპერტიზა, რომელზეც გამოძიებაშია საუბარი, რადგან ის სხვა ექსპერტიზისთვის აქვთ წაღებული, შესაბამისად, როგორც ექსპერტი ამბობს, უცნობია, რითი აქვს დაზიანებული ბიძინა კუჭავას ფეხი.

მაია ნიკოლეიშვილის ინფორმაციით, გუშინვე გამოიკვლიეს მოკლული პროკურორის პაატა ქირიას ძვალი, რითაც იკვეთება, რომ ქირიას სხეულზე დანაწევრების მცდელობა აღინიშნება.

— ქირიას ძვლის კვლევის შედეგად საეჭვო დაზიანებები იქნა ნანახი, შეინიშნება ზემოქმედებები, — განაცხადა მაია ნიკოლეიშვილმა.

დამოუკიდებელი ექსპერტი „საქართველოს ხმის“ დამფუძნებლის, გარდაცვლილი ბიძინა კუჭავას ოჯახის თხოვნითა და პროკურატურის ნებართვით ჩაერთო ექსპერტიზებში.

პროკურორ ვახტანგ (პაატა) ქირიას ცხედარი ქავთარაძეზე, ერთ-ერთ ბინაში აღმოაჩინეს. გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წლის 13 იანვარს, დაახლოებით 16:15 საათზე, ვახტანგ ქირია სახლიდან გავიდა და მისი ადგილსამყოფელი რამდენიმე დღის განმავლობაში ოჯახის წევრებისთვის უცნობი იყო.

გამორთული იყო მობილური ტელეფონი, არ ჩანდა მისი კუთვნილი ავტომანქანა და ვერ ხერხდებოდა მასთან დაკავშირება.

შსს-ს ცნობით, გატარებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ამოღებულ იქნა კვალის ასარევად ქალაქ რუსთავში გადაგდებული ვახტანგ ქირიას მობილური ტელეფონი, 16 იანვარს კი იგი ქავთარაძის ქუჩაზე, ერთ-ერთ ბინაში მოკლული იპოვეს.

შსს-ს ცნობით, ქირია კუჭავამ მოკლა. გამოძიების ინფორმაციით, ბიძინა კუჭავა თბილისში, იუსტიციის სახლთან დავით პოპოვის ავტომობილით გადაადგილდებოდა, რა დროსაც პოლიცია კვალზე იყო გასული. სამართალდამცველების მისვლამდე კი მან ცეცხლსასროლი იარაღით თავი მოიკლა.

**ინტერპრესნიუსი**

# მიხეილ მაჭავარიანი: „ქართული ოცნება“ საარჩევნოდ არეულობას აპირებს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ისეთი განცხადება გავაკეთეთო. ისიც მზადაა, ნაციონალების ჯინაზე შეხვდეს. შეხვდეს, კაცო, მაგის მეტი სადარდებელი არ მოგვცა ღმერთმა. მე ის ვიცი, რომ ჯინაზე გაკეთებული საქმე არ გამოდის.

***— „ქართული ოცნება“ რომ არჩევნებს წააგებს, ამაში ღრმად ხართ დარწმუნებული და ამის მიზეზად შეუსრულებელ დაპირებებს ასახელებთ. ამ შეუსრულებელი დაპირებების საპირწონე თქვენი მმართველობის 9 წელი რომ იქნება, ეს გავლენას არ იქონიებს არჩევნებზე?***

— აღარ იქონიებს, 9 წლის ძახილი აღარ მუშაობს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის წინსვლა გადაწონის. ყველა თავის შეცდომებზე სწავლობს და ჩვენ კარგი გაკვეთილი მივიღეთ. ამის გათვალისწინებით მოგვყავს პარტიაში ახალი ხალხი.

***— ახალი სახეების მოყვანაზე რამდენჯერმე ისაუბრეთ და შეგიძლიათ მათი ვინაობის დასახელება?***

— შემიძლია, მაგრამ მათ ვინაობას არ დავასახელებ. ამას საჭირო დროს გაიგებთ.

***— ის მაინც გვითხარით, ცნობადი სახეები არიან?***

— ცნობადი სახეებიც არიან და თავიანთ საქმეშიც აქვთ დიდი გამოცდილება.

***— რა პროფესიის წარმომადგენლები არიან?***

— არც ამას ვიტყვი.

***— ადრე რომელიმე პარტიაში თუ იყვნენ?***

— არა. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ძალიან გამოცდილი ხალხია. ჩვენი საარჩევნო სია სერიოზულად განახლდება. ისეთი ხალხი მოვა პარტიაში, რომლისთვისაც ქვეყნის ინტერესებია მთავარი, თორემ, ხომ ხედავთ, მეოცნებეების ხელში საქართველო რადარებიდან გაქრა და, როგორც სააკაშვილი იტყოდა, აღარც განხეთქილების ვაშლი ვართ და აღარც — კიტრი.

## „ნაცმოძრაობის საარჩევნო სიაში სულ ახალი ხალხი იქნება“

***— ეს ახალი სახეები შეძლებენ ქვეყნის ვაშლად ქცევას?***

— ისინი შეძლებენ, ის საქმე გააგრძელონ, რომელიც 2003 წელს დავიწყეთ.

***— ვის ხარჯზე მოხდება სიაში მათი ჩასმა? თქვენს ადგილას შესაძლოა რომელიმე ახალი სახე მოხვდეს?***

— კონსტიტუციაში კი არ წერია, რომ მიშა მაჭავარიანი ათადან ბაბამდე დეპუტატი უნდა იყოს. მეც ჩამანაცვლებენ, ალბათ. თუ ვიღაცამ მაჯობა, რატომ არ უნდა იყოს ჩემ ნაცვლად სიაში? როცა საჭირო იყო, მაშინ არსებულ გამოწვევებს კარგად ვუპასუხე.

***— ახლა ველარ უპასუხებთ გამოწვევებს?***

— როგორ ვერ ვუპასუხებ, მაგრამ ახალ ადამიანებსაც უნდა დავუთმოთ გზა და ადგილი. მეეჭვება, რომ საარჩევნო კამპანია ვინმემ ჩემზე უკეთესად აწარმოოს.

***— აბა, რატომ უნდა შეგცვალონ?***

— ვიღაცამ ხომ შეიძლება ჩემზე უკეთესად იცოდეს ეკონომიკა, ავდგეთ და ის შევიყვანოთ პარლამენტში. ამაში ერდოღანს უნდა მივბაძოთ.

***— კონკრეტულად რაში უნდა მიბაძოთ ერდოღანს? მაგას ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირს აბრალებენ.***

— ჩვენც გვაბრალებენ ეგეთ რაღაცებს. შესაძლოა, ეს ერდოღანი მოგვწონდეს ან — არა, მაგრამ პარტიაში ერთი ძალიან საინტერესო წესი აქვს დამკვიდრებული. ამ წესის თანახმად, ერთი და იგივე ადამიანი პარლამენტში ორზე მეტად არ უნდა მოხვდეს.

***— თქვენს პარტიაში ზოგიერთი უკვე მეოთხე ვადით არის პარლამენტის წევრი.***

— მეც მაგას ვამბობ და ამიტომაც მხარს ვუჭერ განახლებას.

***— ზემოთ არ მიპასუხეთ, აპირებთ თუ არა არეულობის მოწყობას, როგორც ამას ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს.***

— რა არეულობა უნდა მოვაწყოთ? ერთადერთი ძალა, რომელსაც საარჩევნოდ არეულობა აწყობს, „ქართული ოცნებაა“.

***— მათ რაში აწყობთ არეულობა?***

— არეულობის გარეშე არჩევნებს ვერ მოიგებენ. ეს საგარეჯოსა და გარდაბნის მაგალითზეც კარგად გამოჩნდა. თავიანთი ნამოქმედარი რომ გადაფარონ, აქეთ გვაბრალებენ, რომ არეულობის მოწყობა გვინდა. არ გამოვრიცხავ, რაღაც ახალი სატელეფონო საუბრები გამოყარონ, როგორც ეს რამდენიმე თვის წინ გააკეთეს.

ამ თემაზე ვსაუბრობთ და აღძრული საქმე გამახსენდა. ხომ დაიწყეს გამოძიება შეთქმულების მზადებაზე. მაინტერესებს, სად არის შედეგი? რამდენიმე დეპუტატი დაკითხეს და ამით დასრულდა ეს საქმე. ჰო, კიდევ, საბურავები არ დამავიწყდეს, იქნებ ჟურნალისტებმა მაინც მოიკითხოთ, სადაა ეს საბურავები, ჩვენ რომ უნდა დაგვეწვა.

ჩვენ არჩევნებისთვის ახალი პროგრამითა და ახალი ხალხით ვემზადებით და ახალ არჩევნებს აუცილებლად მოვიგებთ.

***— მოგებაში ძალიან ხართ დარწმუნებული და ვნახოთ.***

— ვნახოთ, ანდა, როგორც საჩხერელები იტყვიან, ნავხოთ.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# „ირანი საქართველოში ჰიდროელექტროსადგურებს ააშენებს“

თეირანში გამომავალი გაზეთი „თეირან თაიმსი“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრისა და ვიცეპრემიერ კახა კალაძის მიერ ირანის დედაქალაქში გამართულ შეხვედრებს ეხმაურება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის მიმოხილვას.

პუბლიკაციაში ასახულია ქართველი და ირანელი კოლეგების – კახა კალაძისა და ჰამიდ ჩითჩიანის მოლაპარაკების საკითხები: აღნიშნულია, რომ გაფორმდა სამი შეთანხმება, რომელთა თანახმად, ირანელი ენერგეტიკოსები საქართველოში ჰიდროელექტროსადგურს ააშენებენ; ირანი საქართველოსთან თანამშრომლობას დაიწყებს ქვეყნის ელექტროქსელის რეკონსტრუქციის მიზნით და ბოლოს, დაგეგმილია ელექტროენერგიის გაცვლა სეზონურ პერიოდებში. მხარეებმა ისაუბრეს აგრეთვე ირანის, სომხეთის რუსეთისა და საქართველოს ენერგოსისტემის ფარგლებში ელექტროგადამცემი ხაზის სავარაუდო მშენებლობის თაობაზეც.

როგორც ირანის ენერგეტიკის მინისტრმა ჰამიდ ჩითჩიანმა აღნიშნა, საქართველოსა და ირანს შორის ელექტროენერგიით ვაჭრობის საკითხში შეიძლება გამოყენებული იქნეს ირანსა და სომხეთს შორის ამჟამად მოქმედი 1200 მეგავატი სიმძლავრის მქონე ელექტროგადამცემი ხაზი. გარდა ამისა, მინისტრის თქმით, ელექტროენერგიის გაცვლა შეიძლება აგრეთვე აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლითაც: სასაზღვრო ქალაქ ფარსაბადში არსებული ელექტროქვესადგურის მეშვეობით 500 მეგავატი ენერგიის გადაცემა შეიძლება.

კახა კალაძემ „თეირან თაიმსის“ კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ირანულ კომპანიებს საქართველოსთან თანამშრომლობის დიდი პოტენციალი აქვთ – მათ შეუძლიათ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროების ინვესტირება და ა.შ. მინისტრის თქმით, საქართველო სურს ირანული ინვესტიციები ჰესების მშენებლობაშიც მიიზიდოს.

– საქართველოს 25 ათასი მდინარეთაგან 300 შეიძლება ელექტროენერგიის გამომუშავების წყარო გახდეს, მათზე ელექტროსადგურები აშენდეს და კარგი იქნება, თუ ამით ირანული კომპანიები დაინტერესდებიან... ამჟამად საქართველოს ჰიდრორესურსებიდან მხოლოდ 18-20% თუ არის გამოყენებული. ჩვენ აგრეთვე დაგეგმილი გვაქვს 700 მილიონი დოლარის გამოყოფა ქვეყნის ენერგოსისტემების რეკონსტრუქციისათვის, – განაცხადა კახა კალაძემ.

„თეირან თაიმსთან“ საუბრისას ენერგეტიკის მინისტრმა დადებითად შეაფასა აგრეთვე საქართველო-ირანის ურთიერთობის მნიშვნელოვანი მოვლენა – უვიზო რეჟიმის დაწესება და აღნიშნა, რომ ქართული მხარის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ეკონომიკურ თანამშრომლობას და ტურიზმის განვითარებას.

კახა კალაძემ განაცხადა, რომ საქართველო მიესალმება ირანისათვის დასავლეთის მიერ სანქციების მოხსნას. მან იმედი გამოხატა, რომ ეს მოვლენა ხელს შეუწყობს საქართველოში ირანული კომპანიების საქმიანობის გაფართოებას.



**ნიუსპრესი**

## სოზარ სუბარი: „სადაც კოალიცია მიიჩნევს საჭიროდ, იქ ვიქნები“



საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ იქნება შეთავაზება და თუ ამას საჭიროება მოითხოვს, რომ პარლამენტის დეპუტატი გახდეს, ის ამ წინადადებას დათანხმდება.

სუბარმა ამის შესახებ ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განაცხადა, ხომ არ იგეგმებოდა მისი მოღვაწეობის საკანონმდებლო ორგანოში გაგრძელება.

– სადაც მიიჩნევს კოალიცია საჭიროდ, რომ მე შემიძლია საქმე გავაკეთო, იქ ვიქნები. თუ ჩათვლიან, რომ ჩემი ადგილი არც პარლამენტშია და არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არც ეს არის პრობლემა, – აცხადებს სოზარ სუბარი.

**ნიუსპრესი**

## გია ვოლსკი: „გოგი თოფაძე პატრიოტული სულისკვეთების ადამიანია“

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი გოგი თოფაძისა და რესპუბლიკელების დაპირისპირებას კვლავ გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ თოფაძის განცხადებები პირადმა წყენამ განაპირობა.

– თუმცა პირად წყენას მოჰყვა განცხადებები, რომლებიც არა „რესპუბლიკური პარტიის“ ზოგიერთ წარმომადგენელს და არა „რესპუბლიკურ პარტიას“, არამედ კოალიციისა და მთავრობის პოზიციას, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას შეეხო, – აღნიშნა ვოლსკიმ პორტალ „კვირის“ პრესკლუბში.

ამასთან, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გოგი თოფაძის ქვეყნის წინაშე დამსახურებებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბატონი გოგი საკმაოდ დამსახურებული პიროვნებაა, ძალიან ბევრი გააკეთა ქვეყნისთვის, ის პატრიოტული სულისკვეთების ადამიანია.

– პირადი წყენის საფუძველი ბატონ გოგის ჰქონდა. ვფიქრობ, არასწორი იყო მის მიმართ დამოკიდებულება. ვიღაცას მოსწონს ის, ვიღაცას – არა, მაგრამ ბატონი გოგი საკმაოდ დამსახურებული პიროვნებაა, ძალიან ბევრი გააკეთა ქვეყნისთვის. ის პატრიოტული სულისკვეთების ადამიანია, რომელსაც თავისი ქვეყანა უყვარს, საპარლამენტო საქმიანობაც იცის. დაუშვა არაკორექტული გამონათქვამი, რის გამოც



მან ბოდიში მოიხადა, მაგრამ მის ამ გამონათქვამს მის მიმართ კიდევ მეტი არაკორექტულობა მოჰყვა. პასუხი, რომელიც მან გასცა „რესპუბლიკური პარტიის“ ზოგიერთ წარმომადგენელს, შეეხო არა „რესპუბლიკურ პარტიას“, არამედ რეალურად გადასწვდა კოალიციისა და მთავრობის პოზიციას საგარეო თუ საშინაო საკითხებში. სწორედ ეს არის თემები, სადაც მის გამონათქვამებს საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე ვერანაირად დავეთანხმები, – აღნიშნა გია ვოლსკიმ.

## ფოთში სოციალურად დაუცველებმა აქცია გამართეს

ფოთში, მალთაყვაში, სოციალურად დაუცველებმა ქუჩა გადაკეტეს. აქციის მონაწილეები ელექტროენერგიის შეწყვეტას აპროტესტებენ. მათ რამდენიმე დღეა, ელექტროენერგია არ მიეწოდებათ.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ფოთში, ყოფილი სასტუმროს შენობაში, რამდენიმე ოჯახი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. ისინი ელექტროენერგიის საფასურის გადახდას ვერ ახერხებენ და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დახმარებას სთხოვენ.

გასულ თვეში მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურმა 1.000 ლარს გა-



დააჭარბა, რისი გადახდის ფინანსური საშუალება, როგორც მოსახლეობა აცხადებს, არ აქვთ.

„ინტერპრესნიუსს“ აქციის მონაწილეებმა განუცხადეს, რომ შენობაში მცხოვრებლები ერთი მრიცხველით სარგებლობენ. ისინი კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას სთხოვენ.

აქციას ფოთის ვიცემერი ლევან ჩოჩია გამოეხმაურა. ის სოციალურად დაუცველებს დახმარებას დაჰპირდა, თუმცა გამართულ აქციას „მართული“ უწოდა. მერმა არ დააკონკრეტა, ვისგანაა მართული აქცია.

სოციალურად დაუცველები აცხადებენ, რომ თუ მათი მოთხოვნა დროულად არ დაკმაყოფილდა, საპროტესტო აქციებს გააგრძელებენ.

**ინტერპრესნიუსი**

## გურჯაანის აგრარულ ბაზართან ხმაური იყო




ხმაური იყო გურჯაანის აგრარულ ბაზართან. მოვაჭრეების თქმით, მათთან პოლიცია მივიდა, რომელიც ჯარიმებით ემუქრებოდა და ადგილების დატოვებას აიძულებდა. მოვაჭრეების ინფორმაციით, მათი სავაჭრო მაგიდები მოიპარეს და დილით ადგილზე მისულებს ინვენტარი აღარ დახვდათ.

როგორც მოვაჭრეები ამბობენ, გურჯაანში კერძო ბაზარი გაიხსნა, რომელიც მცირე მოცულობის არის და მათთვის მიუღებელია.

ბაზრის ხელმძღვანელის თქმით, პირველ ეტაპზე მოვაჭრეებს მოსაკრებელს არ გადაახდევინებენ. გარემოვაჭრეები ვაჭრობის აკრძალვას არ აპირებენ და მუშაობის გაგრძელებას გეგმავენ.

ადგილზე იმყოფებოდა გამგეობის წარმომადგენელი, რომელმაც კომენტარი არ გააკეთა.

**ინტერპრესნიუსი**

## ნოდარ ხადური: „მთავარი არ არის, ვინ ეწერება სიაში“

მინისტრებმა არ იციან, იქნება თუ არა წარმოდგენილი მმართველი გუნდი საპარლამენტო სიაში. აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, „მთავარი არ არის, ვინ ეწერება სიაში“.



**ნოდარ ხადური:**

– ჯერჯერობით ვაგრძელებთ ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობას. მთავარი სულაც არ არის, ვინ ეწერება სიაში. მე ამ წუთას ვასრულებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოვალეობას.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრ სოზარ სუბარის განმარტებით კი ამ თემაზე მასთან საუბარი არ ყოფილა და არჩევნებში კენჭისყრა მისთვის არ შეუთავაზებიათ.

შეთავაზების შემთხვევაში კი სუბარი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ გამორიცხავს და ამბობს, რომ გადაწყვეტილებას იმის მიხედვით მიიღებს, რა შეთანხმებაც პოლიტიკურ გუნდში შედგება.

**ინტერპრესნიუსი**

*სამართალი*

## ეკა გიგაური: „მამუკა ახვლედიანის საკითხი ყველა მოსამართლისთვის გზავნილია“



– მამუკა ახვლედიანის საკითხი ყველა მოსამართლისთვის გზავნილია, რომ თუკი ხმას ამოიღებენ, შეიძლება მათ მიმართაც იგივე მოხდეს. ის, რაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მამუკა ახვლედიანის მიმართ გადაწყვიტა, გზავნილია ყველა მოსამართლისთვის, რომ თუკი ხმას ამოიღებენ, შეიძლება მათ მიმართაც იგივე მოხდეს, – ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელმა ეკა გიგაურმა ახვლედიანთან მართლმსაჯულების სახლში მიმდინარე შეხვედრისას ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც გიგაურმა განმარტა, ეს არის გზავნილი ყველა მოსამართლესთან მიმართებით, რომ თუკი ისინი ხმას ამოიღებენ, შეიძლება მოხდეს მათი გათავისუფლება, რაც არასწორი და საგანგაშოა.

**ეკა გიგაური:**

– მთავარია, რომ მამუკა ახვლედიანმა ისაუბრა პრობლემებზე, რომლებიც სისტემაში არსებობს და ამის შემდეგ დაიწყო საბჭომ სხვადასხვა მოკვლევა და გამოძიება მის წინააღმდეგ. სწორედ ამის შემდეგ მოხდა მისი გათავისუფლება, რაც არის სხვა მოსამართლეებთან მიმართებით გზავნილი.

ყველა შესაბამისმა ორგანომ, მათ შორის პარლამენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ფაქტს, შეხვდეს ახვლედიანს და ამის შემდეგ კიდევ უფრო სიღრმისეული რეფორმა ჩაატაროს სასამართლო სისტემაში; იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რაც არ უნდა ილაპარაკოს მთავრობამ, ჩვენ შედეგად გვაქვს აბსოლუტურად არასწორად დაკომპლექტებული როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ასევე სასამართლო სისტემა.

დღეს ირჩევა მოსამართლეები აბსოლუტურად გაუმჭვირვალე მეთოდით და ჩვენ სულ ცოტა ხანში მივიღებთ დახურულ სასამართლო სისტემას, როდესაც მთავარი მოქმედი პირები იქნებიან ერთი კლანის წარმომადგენელი მოსამართლეები, რომლებიც ფაქტობრივად შექმნიან კანონებს და მათი ინსტრუქციების მიხედვით იმოქმედებს ყველა მოსამართლე, – განაცხადა ეკა გიგაურმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ახლობლები ნინა რომანაძის მკვლელობაში მისი მეუღლის ბრალეულობას გამორიცხავენ

ფონიჭალაში მოკლული ნინა რომანაძისა და მისი 3 წლის გოგონას ნათესავები გამორიცხავენ, რომ დედა-შვილის მკვლელობაში მეუღლეს ოთარ მამფორიას რაიმე ბრალეულობა მიუძღოდეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ რომანაძის ბიძაშვილმა ჯუბა ბერაძემ განუცხადა, ცოლქმარს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

– გარდაცვალების არანაირი ვერსია არ გვაქვს. ვიდრე ჩემი ნათესავი არ ჩამოვა, რომელიც თბილისშია წასული, ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ ის ინფორმაცია გვაქვს, რაც მედიიდან გავიგეთ, – განაცხადა ბერაძემ.

კითხვაზე, როგორი ურთიერთობა ჰქონდა გარდაცვლილს მეუღლესთან, ბერაძემ აღნიშნა, რომ „ძალიან კარგი“.

– ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მეუღლე სამსახურში იყო იმ დილით, 09:00 საათზე გავიდა ჩვეულებრივ. როგორც ნათესავი კი არა, როგორც ძმა, ვაცხადებ, რომ გამოვრიცხავ მისი მეუღლის ბრალეულობას. ნინა ჩემთან ერთად იზრდებოდა. დედ-მამა ადრეულ ასაკში დაშორდა ერთმანეთს და პატარა ბავშვი ერთი წლიდან ჩემთან იზრდებოდა. ის დასავით მყავდა და სიძეც ასევე ძალიან ახლობელია, ამიტომ მის ბრალეულობას გამოვრიცხავ, – განაცხადა ჯუბა ბერაძემ.

მისივე თქმით, გარდაცვლილ დედა-შვილს 27 თებერვალს ქობულეთში დაკრძალავენ.

როგორც ცნობილია, ფონიჭალაში, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში დედა-შვილი მოკლული იპოვეს. გარდაცვლილები არიან 35 წლის ნინა რომანაძე და მისი 3 წლის გოგონა. ნინა რომანაძე საცხოვრებელი ბინის მისაღებ ოთახში იპოვეს, ხოლო 3 წლის გოგონა საძინებელში დამწვარი ნახეს. 35 წლის ქალს ცივი იარაღით ყელის არეში ჭრილობები აქვს მიყენებული.



მეზობლების ინფორმაციით, მათ ცხედრები დაახლოებით 13:00 საათზე მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც ბინიდან გამოსული კვამლი შენიშნეს.

შსს-ს ცნობით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

# ნოდარ ნათაძე: „არსებობს ორპარტიულობის დამკვიდრების ვერაგული გეგმა“

მარიამ მჭედლიშვილი

სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ არ ემსახურება საქართველოს ინტერესებს და დაკომპლექტებულია არაპროფესიონალებით. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მმართველი კოალიცია თავს ვერ ართმევს იმ ამოცანებს, რომლებიც მას აკისრია.

**ნოდარ ნათაძე:**

– „ქართული ოცნება“ თავიდანვე არაფრისმქმნელი და უვარგისი გაერთიანება იყო. ახლა უფრო კარგად გამოჩნდა, რომ მისი წარმომადგენლები ვერ ქაჩავენ. ბევრი ისე გარბის გაერთიანებიდან, როგორც ვირთხები მირბიან გასაწირად გამზადებული ხომალდიდან.

***– ყველა არ გარბის. ზოგი – პირიქით, დარჩენას და ბიძინა ივანიშვილის რესურსების გამოყენებას ცდილობს.***

– სხვა გზა არა აქვთ და რა ქნან!

***– ბოლოდროინდელი შიდაკოალიციური დაპირისპირებების მონაწილეები რესპუბლიკელები არიან.***

– მაგ კონფლიქტების დეტალებზე ვერაფერს ვიტყვი. ისე, რესპუბლიკურ პარტიაზე დიდი ხანია, ჩემი აზრი მაქვს ჩამოყალიბებული. რესპუბლიკელები დაკავებული არიან თავიანთი ქართული გვარების გაქირავებით ანტიქართული დოკუმენტების ხელმოწერისას. რესპუბლიკური პარტია ვერასდროს ვერ იგებს არჩევნებს დამოუკიდებლად და ხან ვის ეტმასნება, ხან – ვის.

***– ბოლო დროს რესპუბლიკელებსაც შეუტიეს.***

– ამ პარტიის ზოგიერთი წევრის ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები და მოქმედებები ყოველთვის საგანგაშო იყო და აღშფოთებას იწვევდა. ერთი მათგანია პაატა ზაქარეიშვილი. მისთვის შეხვედრებზე პირშიც მითქვამს, რომ ისაა ყველაზე უსირცხვილო ადამიანი დედამიწაზე. პრეტენზიები მაქვს ივლიანე ხაინდრავასთანაც. რაც შეეხება ძმები ბერძენიშვილების დადანაშაულებას რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში, ამისი არ მჯერა. მათ შეხედულებებს არ ვიზიარებ, მაგრამ რუსეთის აგენტობას ვერ დავაბრალებ.

***– ბევრი აკრიტიკებს თინა ხიდაშელს.***

– არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ქალია თავდაცვის მინისტრი. უბედურება ისაა, რომ თინა ხიდაშელი ვერ ამაღლდა ეროვნული ცნობიერების, პასუხისმგებლობის დონემდე. პირველად თინა ხიდაშელი რომ ვნახე, სტუდენტი იყო. ქართველი და ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლების შეხვედრა გვქონდა. იქ მან მოიტანა სამგვერდიანი პროექტი, რომლითაც ქართულ და ოსურ მხარეებს ყველაფერი თანაბრად უნდა გაენაწილებინათ. მოგვიანებით წავიკითხე ფონდ „შერიგების რესურსის“ მიერ გამოშვებული კრებულები, სადაც თინა ხიდაშელის წერილები იყო აფხაზეთზე. ყველა ნახსენები ნაშრომი შორსაა სახელმწიფოებრივი მიდგომებისგან. სამწუხაროდ, თინა ხიდაშელის აზროვნება ახლაც არ შეცვლილა. ლევან ბერძენიშვილის ბევრ მოსაზრებასაც არ ვეთანხმები.




***– პოლიტიკურ მოსაზრებებს გულისხმობთ?***

– არამარტო. მას მიუღებელი აზრები აქვს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე. ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ ვაჟას გმირებს – ჯოყოლასა და სხვებს – ჯოგური, თემური ცნობიერება აქვთ. სინამდვილეში, ხევისბერები და თემის წევრები სხვა დონის ხალხია. ისინი გამოირჩევიან პასუხისმგებლობით გარე სამყაროზე და მოქმედებენ გონების კარნახით. რესპუბლიკელებს ახასიათებთ ასეთი ანტიქართული ჟესტები. დღევანდელ სიტუაციაში პრობლემას ქმნიან არამარტო ანტიქართულად განწყობილი რესპუბლიკელები. არსებობს საქართველოში ორპარტიულობის დამკვიდრების ვერაგული გეგმა.

***– ანუ „ქართული ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის მონაცვლეობა?***

– დიახ. ხან ქოცებმა უნდა მიიღონ პარლამენტში 60% და ხან ნაცებმა. ასე, 60 და 40 %-იანი მონაცვლეობით უნდა მართონ ქვეყანა.

***– ვისია ეს გეგმა?***

– ასეთი ორსუბიექტიანობა რუსეთის ინტერესებშია. მთელ ჩემს დარჩენილ ენერგიას მოვახმარ, რომ შეიქმნას ერთიანი ეროვნული ფრონტი ამ მზაკვრობის წინააღმდეგ. საქართველოსთვის და დემოკრატიისთვის ეს ორპარტიულობა დამღუპველი იქნება.

***– დასავლეთს რა პოზიცია უჭირავს?***

– მკვეთრად მედასავლელე ვარ, მაგრამ მოკავშირე დასავლეთის ყველა მიდგომას და პოზიციას არ ვეთანხმები. ეს არ ნიშნავს, რომ დასავლეთს რუსეთის გვერდით ვაყენებ. რუსეთთან ომი გვაქვს. რუსეთს თურქეთთან და ირანთან ერთად უნდა, რომ გზა გადაუკეტოს დასავლეთს შუა აზიისაკენ. მტერ რუსეთს ვერაფერს შევასმენთ, მოკავშირე დასავლეთთან კი ზოგიერთ საკითხზე პაექრობა და კამათი შესაძლებელია. როცა დასავლეთს კამათს უგებ, ის კურსს ცვლის.

***– დასავლეთის რომელი პოზიციაა მიუღებელი?***

– დასავლური ინსტიტუტების მოსაზრებით და რეკომენდაციით, თავისუფლება ყოფით ქცევაში გამოიხატება. ყურადღების კონცენტრირება ხდება ინდივიდზე და არა სახელმწიფოზე. მათი აზრით, თავისუფლება ტრადიციების შემზღუდავია.

***– ასეთი მიდგომა აზიანებს სახელმწიფოებრივ ინტერესებს?***

– დიახ. თავისუფლება უნდა გამოიხატოს სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. ადამიანის უფლებებიც დასაცავია. სექსუალურ უმცირესობებს არავინ დევნის, მაგრამ ქალაქის ცენტრში გეიპარადის მოწყობა, ეს უკვე პროვოკაციაა. ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება კი, ქორწინების ინსტიტუტის ხელყოფა. საქართველოში არ შეიძლება მიწის უცხოელებზე მიყიდვაც. ჩვენ ამ საკითხებზე შეგვიძლია ვეკამათოთ, ვეჭიდაოთ დასავლელ მოკავშირეებს და ავუხსნათ მათ, თუ რატომაა ზოგიერთი მათი რეკომენდაცია ჩვენთვის მიუღებელი. დასავლური კურსი არ ნიშნავს, რომ ჩვენი პოზიციის გამოხატვა და ჩვენი ინტერესების დაცვა აკრძალული გვაქვს.

# ვახტანგ მაისაია: „ისლამური სახელმწიფო ლიტვასაც დაემუქრა“

გულიკო ბალაძე

ისლამურმა სახელმწიფომ მორიგი ვიდეომუქარები გაავრცელა. მის სამიზნეებს კიდევ ერთი სუბიექტი, ლიტვა დაემატა. საქართველო, ჩრდილოეთ კავკასია და თათარსტანიც არ დავიწყებიათ. ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ესაუბრა.

***– ბატონო ვახტანგ, ვიდეომიმართვები გავრცელდა, მაგრამ ძალიან სწრაფად ამოიღეს.***

– დიახ, ამაზე მუშაობენ ჩვენი სპეცსამსახურები. თუმცა, ის ვიდეორგოლები, რომელთა ნახვაც მე მოვასწარი, მორიგი პროპაგანდისტული აქცია და მეორე სერიაა იმისა, რაც იყო რამდენიმე თვის წინ, როცა რამდენიმე ქართული წარმოშობის ჯიჰადისტი გამოვიდა და საქართველოს ემუქრებოდა.

***– ახლანდელ ვიდეორგოლს ვინ ავრცელებს?***

– ეს არის მეორე მიმართვა ჯიჰადისტური საინფორმაციო პროპაგანდისტული სამინისტროს ეგიდით მოქმედი ფურადის სააგენტოსი.

***– ეს რა სააგენტოა?***

– ფურადი არის სპეციალიზებული სააგენტო, რომელიც მუშაობს პოსტსაბჭოთა სივრცეზე, ანუ რუსულენოვან და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნების სივრცეზე.

ფურადმა ქართულ ვიდეორგოლთან ერთად გამოუშვა ასევე მეორე სერია ვიდეომიმართვებისა ჩრდილოეთ კავკასიური და თათარისტანის მიმართულებით. მე ვნახე ჩრდილოკავკასიური ვიდეორგოლი. ჯიჰადისტების საიტებზე დადებული იყო თათარსტანისთვის განკუთვნილი ვიდეო მამართვაც. თუმცა, მისი ნახვა ვერ მოვასწარი.

***– თქვენ იცით არხები, სადაც ამგვარი ვიდეოები ვრცელდება?***

– რა თქმა უნდა.

***– ჩვენთან რეალური საშიშროება არსებობს?***

– ჩვენ ისეთ გარემოში ვართ, საშიშროება სავსებით რეალურია.

***– ლიტვას რატომ ემუქრება ხალიფატი?***

– ლიტვის მიმართულებით მუქარა გამოხატულია რამდენიმე ამერიკულ ბაზაზე. ლიტვასთან დაკავშირებით ტერაქტი დააანონსეს. საუბარი იყო ლიტვის პორტზე. როგორც ჩანს, ისლამური სახელმწიფო ცდილობს, გააფართოოს თავისი არეალი.



**„სირიიდან ლტოლვილების მიღებისას სიფრთხილე გვმართებს“**

ვიდეო მიმართვაში ამბობდნენ, რომ ლიტვაში არსებულ ბაზებზე ამერიკელი სამხედროების კონცენტრაცია ხდება.

არ ვიცი, ისლამური სახალიფო რამდენად შეძლებს, ბალტიისპირეთს მისწვდეს. თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ლტოლვილთა ნაკადებში არის ისლამური სახალიფოს ხელწერა, გამორიცხული არაფერია. მით უმეტეს, რომ ბალტიის სახელმწიფოებმა დაიწყეს ლტოლვილთა მიღება სირიიდან.

***– საქართველო თუ იღებს სირიიდან ლტოლვილებს?***

– რამდენადაც ვიცი, საქართველო აპირებს, სირიიდან 1.000-მდე ლტოლვილი მიიღოს.

***– ეს საქართველოში ვითარების გაუარესებას ხომ არ გამოიწვევს?***

– თუ ჩვენი ძალოვანი სტრუქტურები იქნებიან მობილიზებული და ეფექტურად იმუშავებენ ამ მიმართულებით, ალბათ, შევძლებთ თავიდან ავიცილოთ პიკანტური მომენტები. ჩვენი ახლად შექმნილი სუსის ეფექტურობა ამ მიმართულებით გამოჩნდება. ყურადღებით უნდა ვიყოთ.

***– ისლამური ხალიფატის გააქტიურება ხომ არ გამოიწვია ყურადღების მოდუნებამ იმის გამო, რომ კონფრონტაციის საშიშროება იყო უფრო დიდ სახელმწიფოებს შორის?***

– დიახ, როგორც კი ხალიფატის მიმართ ყურადღება მოდუნდა, ხალიფატი ამოქმედდა. რუსეთსა და თურქეთს შორის ვითარება დაიძაბა და ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა ჯაფხატ ან ნუსრას წინააღმდეგ და ის მოექცა გეოპოლიტიკური ორომტრიალის ცენტრში.

***– ჯაფხატ ან ნუსრა რა არის?***

– ეს არის ალქაიდას მიერ დაფინანსებული და ორგანიზებული ჯიჰადისტური გაერთიანებების კოალიციაა. ისინი ითვლებიან ზომიერ ჯიჰადისტებად. მათ მხარს უჭერენ თურქეთი და საუდის არაბეთი. ეს არის ერთ-ერთი მსხვილი გაერთიანება სირიაში, სადაც მოქმედებს 44 ჯიჰადისტური ტიპის გაერთიანება. აქედან 14 არის ყველაზე მსხვილი. ამ 14-დან 6 ორგანიზაცია გაერთიანებულია ჯაფხატ ან ნუსრას დაჯგუფებაში. დანარჩენები გადანაწილებული არიან სხვადასხვა ორგანიზაციებში. მათ შორის, სახალიფოს ეგიდით შექმნილ დაჯგუფებებში.

***– ანუ ჯაფხატ ან ნუსრა ისლამურ სახალიფოში არ შედის?***

– არა. ისინი დაპირისპირებულები არიან სამხედრო-პოლიტიკური ნიშნით.

***– ამერიკელები როგორ უყურებენ ამ ორგანიზაციას?***

– ამერიკელებმა და დასავლეთის სახელმწიფოებმა ჯაფხატ ან ნუსრა ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადეს, როგორც სახალიფო.

***– ისლამურ სახელმწიფოს ღია მხარდამჭერი ჰყავს?***

– ისლამურ სახელმწიფოსაც ჰყავს მხარდამჭერები, მაგრამ ღიად მხარს არ უჭერენ. ისლამურ სახალიფოს გარკვეული სახელმწიფოების პოლიტიკური, კლერიკალური ძალები ეხმარებიან.

***– არსებულ ვითარებაში თურქეთის მდგომარეობა როგორ ჩანს?***

– თურქეთი მძიმე მდგომარეობაშია. თურქეთის წინააღმდეგ გაიშალა მეორე ფრონტი. რამდენიმე დღის წინ სამი ტერაქტი განხორციელდა, რასაც 150 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ტერაქტი დაკავშირებული იყო ქურთების მუშათა პარტიის გასამხედროებულ დაჯგუფებასთან. ანკარაში ტერაქტის დროს დაიღუპა 22 სამხედრო მფრინავი.

პასუხისმგებლობა აიღო ქურთების მუშათა პარტიის ეგიდით მოქმედმა ერთ-ერთმა დაჯგუფებამ.

***– ამ დღეებში თურქეთის პოლიციასა და იქაურ ქართველებს შორის მოხდა დაპირისპირება. დაპირისპირება ჯიჰადისტურ და ქურთულ მოძრაობებს არ უკავშირდება, მაგრამ მაინც თურქეთის წისქვილზე არ უნდა ასხამდეს წყალს.***

– არა, რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, ამან შეიძლება ეთნიკური დაპირისპირების ნიშნები შეიძინოს. როდესაც დაძაბული სიტუაციაა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით ასეთი დაპირისპირება შეიძლება გადავიდეს ეთნორელიგიურ დაპირისპირებაში. ეს არის ყველაზე საშიში. თურქეთის ხელისუფლება შეშფოთებულია ასეთი ტენდენციების გამო და ცდილობს, მოვლენების ამგვარი განვითარება თავიდან აიცილოს.

***– თუმცა, ვითარებას უფრო ამწვავებს პოლიციის მხრიდან მხუთავი გაზის გამოყენება, როცა სოციალური პრობლემის გამო გამოსულ ხალხს უხეში ძალით უპირისპირდება.***

– იმ ფონზე, რაც თურქეთშია შექმნილი ტერაქტებისა და რეჟიმთან გარკვეული პოლიტიკური დაპირისპირების გამო, ეს ხელს არ უწყობს ვითარების დამშვიდებას. მოგეხსენებათ, ერდოღანს გადაუდგა რამდენიმე მისი სტრატეგიული მოკავშირე.

***– ამერიკას გულისხმობთ?***

– არა, თურქეთის შიგნით რამდენიმე მისი მოკავშირე ერდოღანს გადაუდგა და გამოხატა უკმაყოფილება. უკმაყოფილების ნიშნები თანდათან იკვეთება თურქეთის საზოგადოებაშიც.

***– საერთაშორისო ასპარეზზე თურქეთის მოკავშირეები რა აზრზე არიან?***

– საერთაშორისო ასპარეზზე ფრანსუა ოლანდმა თქვა ის, რასაც მე და თქვენ ვამბობდით რამდენიმე დღის წინ – რუსეთ-თურქეთის ომი სავსებით რეალურიაო. ევროპელი ლიდერები უკვე საუბრობენ ამ საშიშროებაზე.

***– ამერიკის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ შეთანხმებას მიაღწიეს რუსეთთან.***

– მათი მოლაპარაკება ეხებოდა სირიის შიდა სიტუაციას. პრორუსული და პროამერიკული კოალიციების ეგიდით მოქმედ დაჯგუფებებს შორის მოხდა დაზავება.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# კადიროვი დამოუკიდებლობას გამოაცხადებს?



რუსეთის ოპოზიციური პარტია „პარნასის“ წევრმა იაშინმა ჩეჩნეთში შექმნილ მდგომარეობას ანალიტიკური მასალა მიუძღვნა.

იაშინი მიიჩნევს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე კადიროვმა ჩეჩნეთის ხალიფატი შექმნა.

– ის, რაც დღეს ჩეჩნეთში ხდება, შეიძლება შევადაროთ იმას, რაც მეფის დროს ბუხარასა და ხივაში ხდებოდა. მაშინ ბუხარის საემირო და ხივის სახანო რუსეთის ვასალურ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. მათ ემირები და ხანები მართავდნენ. იქ შუასაუკუნეობრივი დესპოტიზმი იყო გამეფებული. ასეა დღევანდელ ჩეჩნეთშიც, – წერს იაშინი.

პოლიტიკოსის აზრით, შექმნილი მდგომარეობა რუსეთისთვის სახიფათოა. პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში კადიროვმა შესაძლოა დამოუკიდებლობა გამოაცხადოს და რუსეთის შემადგენლობიდან გავიდეს.

თავად კადიროვი ამ ბრალდებას უარყოფს.

– მე რუსეთის პატრიოტი ვარ! დემოკრატებმა თავის დროზე საბჭოთა კავშირი დაანგრიეს, ახლა რუსეთს ანგრევენ! მე მათ ვებრძვი, ისინი სამაგიეროს მიხდიან, – ამბობს კადიროვი.

# ისრაელში პრემიერ ნეთანიაჰუზე თავდასხმა აღკვეთეს



ისრაელის სპეცსამსახურებმა ტერორისტული ორგანიზაცია ჰამაზის ხუთი წევრი დააკავეს.

მათ პრემიერ ნეთანიაჰუზე თავდასხმა უნდა განეხორციელებინათ. ტერაქტი უნდა მომხდარიყო მაშინ, როცა პრემიერი იერუსალიმის სინაგოგას ესტუმრებოდა. განიხილებოდა მეორე ვარიანტიც, ნეთანიაჰუს მოკლავდნენ მაშინ, როცა ის სტადიონზე მივიდოდა.

ორივე შემთხვევაში დაგეგმილი იყო აფეთქების განხორციელება ხალხმრავალ ადგილას. ამას, ნეთანიაჰუს გარდა, ბევრი უდანაშაულო ადამიანი შეეწირებოდა.

# 92 წლის ქალს დეპორტაციას უპირებენ

ბრიტანეთის მიგრაციის საქმეების სასამართლომ დადგენილება გამოიტანა, რომლის თანახმადაც ქვეყნიდან 92 წლის მირტლ კოტილის დეპორტაცია უნდა განხორციელდეს. ის თავის შვილთან, რომელიც გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან ჩამოვიდა და დარჩენა გადაწყვიტა. სასამართლომ არ გაითვალისწინა ონლაინ-პეტიცია, რომელზეც 55 ათას ადამიანს ჰქონდა ხელი მოწერილი და რომელიც ხანდაზმული ქალბატონის მხარდასაჭერად იქნა შედგენილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ ქალბატონმა კოტილმა, რომელსაც აწუხებს გულის უკმარისობა, ნაწილობრივ აქვს დაკარგული ყურთასმენა და ცალ თვალზე მხედველობა, ქვეყანა ერთი კვირის მანძილზე უნდა დატოვოს. მას გზის ხარჯების ასანაზღაურებლად ათას ფუნტ სტერლინგს გამოუყოფენ, ხოლო თავად ქალს საემიგრაციო ხელისუფლებამ ურჩია, რომ სამხრეთ აფრიკაში ჩასვლის შემდეგ მოსავლელად დახმარებისთვის წითელ ჯვარს მიმართოს.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაქვრივებული მირტლი დორსეტის საგრაფოს ქალაქ პულში მცხოვრებ 66 წლის ქალიშვილ მერი უილსთან 2014 წელს ჩამოვიდა, ვინაიდან მას სამხრეთ აფრიკაში ცოცხალი ნათესავები აღარ დარჩა და ამიტომ იქ მასზე ვერავინ იზრუნებდა. მას შემდეგ უილსი ცდილობდა დედისთვის დიდ ბრიტანეთში ცხოვრების უფლება მოეპოვებინა.

– არ მინდა გამგზავრება, იქ არავინ მყავს და მგზავრობის ძალაც აღარ შემწევს. ძალზე გულდაწყვეტილი ვარ. ძალიან მოვხუცდი და უბრალოდ მინდა სიცოცხლე ჩემი შვილის გვერდით დავასრულო, – განაცხადა კოტილმა.

მისი შვილი კი შიშობს, რომ დედამისი მგზავრობას ვერ გადაიტანს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მერკელი გაეროს გენერალური მდივანი გახდება?



„დოიჩე ველეს“ ცნობით, ანგელა მერკელმა შესაძლოა გაეროს გენერალური მდივნის პოსტზე პან გი მუნი შეცვალოს.

პან გი მუნის უფლებამოსილება მიმდინარე წლის ბოლოს იწურება.

– გაეროს გენერალური მდივნის ძირითადი ამოცანა რუსეთ-დასავლეთს შორის შუამავლის როლია. მერკელს გააჩნია სათანადო გამოცდილება და ამ ამოცანას თავს ბრწყინვალედ გაართმევს, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

ცნობილი გერმანელი პოლიტოლოგი ბრენერი გამოთქვამს ეჭვს, რომ მერკელი გაეროს გენერალური მდივანი გახდება.

– მერკელი ამ თანამდებობისთვის მართლაც ზედგამოჭრილია, მაგრამ დათანხმდება კი ის ამას? – კითხულობს ბრენერი.

პოლიტოლოგის აზრით, მერკელი კვლავაც ყველაზე პოპულარული გერმანელი პოლიტიკოსია. შანსები იმისა, რომ ფრაუ ანგელამ კანცლერის პოსტი შეინარჩუნოს, დიდია.

– გამომდინარე აქედან, ეჭვი მეპარება, რომ მერკელი გაეროს გენერალური მდივნის პოსტს დათანხმდეს, – აცხადებს ბრენერი.

# ქემერონი: „ბრიტანეთისთვის ევროკავშირიდან გასვლა დამღუპველი იქნება“



ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ ქემერონმა განაცხადა, რომ ევროკავშირიდან გასვლა ქვეყანას უდიდეს პრობლემებს შეუქმნის.

ეს თანაბრად შეეხება როგორც ეკონომიკას, ისე თავდაცვის სფეროს.

– ევროკავშირიდან გასვლა ჩვენთვის დამღუპველი იქნება! – აცხადებს ქემერონი.

თავის მხრივ, შოტლანდიის ეროვნული პარტიის ლიდერებმა საგანგებო განცხადება გააკეთეს. მასში ნათქვამია, რომ თუ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გავა, შოტლანდია კვლავ ჩაატარებს რეფერენდუმს დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

– ჩვენ ევროკავშირში დავრჩებით! თუ ბრიტანეთი გავა, ევროკავშირში დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით ვიქნებით, – აცხადებენ შოტლანდიელი ნაციონალისტები.

# რუბიო: „რომნი მხარს არ მიჭერს“



აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა მარკო რუბიომ უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი მიტ რომნი მას მხარს უჭერს.

რომნი 2012 წლის არჩევნებში რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატი იყო.

– ცნობა იმის თაობაზე, რომ რომნი ტელევიზიით გამოვა და მხარს დამიჭერს, სინამდვილეს არ შეესაბამება, – თქვა რუბიომ.

თავად რომნიმ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს იმ კანდიდატს, ვის წარდგენასაც პრეზიდენტის პოსტზე პარტიის ყრილობა გადაწყვეტს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ნატო აღმოსავლეთ ევროპაში სამხედრო კონტინგენტს გაზრდის

მიმდინარე წლის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთის ქვეყნების რეგიონში ნატო-ს სამხედრო ძალების გასაძლიერებლად 100-მდე ჩეხი ჯარისკაცი გაიგზავნება.

როგორც euronews.ge წერს, ამის შესახებ ჩეხეთის თავდაცვის მინისტრმა მარტინ სტროპნიცკიმ განაცხადა.

თავად ნატო-ს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე პეტრ პაველის განმარტებით კი ეს ნაბიჯი მიმართული იქნება ნატო-ს ერთობის დემონსტრირებისკენ და არ გულისხმობს რუსეთის წინააღმდეგ ძალების განლაგებას.

ამასთან,euronews.ge-ს ინფორმაციით, აღმოსავლეთ საზღვრებზე გაძლიერების გარდა, ნატო მუშაობს საგანგებო გეგმასა და ზომების პაკეტზე, რათა მზად იყოს რეგიონში მოვლენების ნებისმიერი განვითარებისათვის.

– ნატო-მ შექმნა სწრაფი რეაგირების ძალები 5.000-იანი შემადგენლობითა და სამეთაურო პუნქტებით ბულგარეთში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთსა და რუმინეთში. მიმდინარე წელს ამ ექვს ქვეყანაში განლაგებული ბრიგადებისთვის აშშ დამატებით სამხედრო ტექნიკას გაგზავნის. პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს სურს, რომ მათ ტერიტორიებზე ნატო მუდმივად იყოს მობილიზებული.

ნატო-ს ახალი გეგმის დეტალები უკვე ივლისში, ვარშავის სამიტზე გახდება ცნობილი, – წერს სააგენტო.

**ინტერპრესნიუსი**

# ერაყელს საბერძნეთში დაკარგული კატა ნორვეგიაში დაუბრუნეს



კატა, სახელად კუნკუში, რომელიც ერაყელ ლტოლვილებს ეკუთვნოდა და რომელიც მათ საბერძნეთში დაეკარგათ, ნორვეგიაში დაუბრუნდათ. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კუნძულ ლესბოსზე მოხალისეებმა ონლაინ-კომპანია წამოიწყეს ცხოველის ოჯახში დასაბრუნებლად.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერაყის ქალაქ მოსულიდან ლტოლვილმა ოჯახმა კატასთან ერთად მთელი თურქეთი გაიარა და 2015 წლის დეკემბერში ნავით კუნძულ ლესბოსზე გადავიდა, თუმცა შეშინებული ცხოველი ნაპირზე გადასვლის შემდეგ გაიქცა და მისმა ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო. ერაყელები იძულებული გახდნენ, გზა საყვარელი ცხოველის გარეშე გაეგრძელებინათ.

მოხალისეებმა კატა კუნძულის ერთ-ერთ სოფელში აღმოაჩინეს. კუნკუში ადგილობრივი კატების თავდასხმის გამო საკმაოდ იყო დაზიანებული, ამიტომ ის ჯერ ვეტრინარს აჩვენეს, შემდეგ კი გერმანიაში გაამგზავრეს ოჯახთან ერთად, რომელმაც კატის ერაყელი ოჯახის მოძებნაში დახმარებაზე თანხმობა განაცხადა. ამისთვის სოციალურ ქსელში სპეციალური ვებ-გვერდიც გაიხსნა, ქუჩებში განცხადებები გამოაკრეს. საბოლოოდ ამ ყოველივემ შედეგი ახლახან გამოიღო და ერაყელების ოჯახს ნორვეგიაში მიაგნეს და საყვარელი კატა ოჯახს დაუბრუნდა.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## განცხადებები

### მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ბორჯღალოსნები ესპანეთისთვის ემზადებიან, ლომებს თბილისში ქულა უნდათ



შაბათს სარაგბო სანაკრებო სეზონი განახლდება ევროპაში. 27 თებერვალს, რაგბი ევროპის ჩემპიონატის მე-3 ტურის მატჩში, ბორჯღალოსნები შინ ესპანეთს უმასპინძლებენ.

ბორჯღალოსნების სამწვრთნელო შტაბმა გუნდი ტრადიციულად შევარდენის სანაკრებო ბაზაზე შეკრიბა.

**საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:**

**უკანა ხაზი:** მერაბ კვირიკაშვილი (მონლიუსონი, საფრანგეთი), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), გიორგი აფციაური (არმია), სანდრო თოდუა (ლელო სარასენსი), მურაზ გიორგაძე (არმაზი), გიორგი ფრუიძე (აია), დავით კაჭარავა (ენისეი, რუსეთი), მერაბ შარიქაძე (ორიაკი, საფრანგეთი), თამაზ მჭედლიძე (აჟენი, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე (ყოჩები), ლაშა ხმალაძე (ლელო სარასენსი), რევაზ ჯინჭველაშვილი (აია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ლოკომოტივი), ვასილ ლობჟანიძე (არმაზი);

**შერკინება:** მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), კახა ასიეშვილი (ბრივი, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი (გლაზგო, შოტლანდია), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე, საფრანგეთი), დუდუ ქუბრიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), ანტონ ფეიქრიშვილი (ბეიონი, საფრანგეთი), გიორგი მელიქიძე (სტად ფრანსე, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე (ლილი, საფრანგეთი), გიორგი ნემსაძე (ტარბი, საფრანგეთი), ნოდარ ჭეიშვილი (ლელო სარასენსი), შალვა სუთიაშვილი (ანგულემი, საფრანგეთი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), ლაშა ლომიძე (ბეზიე, საფრანგეთი), საბა შუბითიძე (აკადემია), ბექა გორგაძე (მონ დე მარსანი, საფრანგეთი), გიორგი მჭედლიშვილი (ჯიქი).

ესპანური პრესის ცნობით, ლომები თბილისს მნიშვნელოვნად გადახალისებული შემადგენლობით ეწვევიან.

რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველ და მეორე ტურში, ესპანელებმა დიდი ბრძოლები გაუმართეს რუსეთს და რუმინეთს. მართალია, ორივე მატჩი წააგეს (სოჭში 20:22 და მადრიდში 18:21), მაგრამ ბონუს ქულები აიღეს და იგივეს გეგმავენ საქართველოსთანაც.

ესპანელთა მწვრთნელმა სანტიაგო სანტოსმა გაფართოებულ შემადგენლობაში რუმინეთთან მატჩის შემდეგ 16 ცვლილება განახორციელა.

არ გამორიცხავენ, რომ გაფართოებულ შემადგენლობაში ცვლილებები კიდევ მოხდეს და გუნდს პაბლო ხილი, დანიელ სტორი, რაფაელ დე სანტიაგო და ოიერ გოია დაემატნონ.

ესპანელებს კარგად ახსოვთ შარშან მადრიდში განცდილი მარცხი (13:26) და ირწმუნებიან, რომ საქართველოში რევანშის წყურვილით მოდიან. თუმცა, ისინი რეალობის განცდასაც არ კარგავენ და ამბობენ, რომ შესაძლოა ერთა თასის დაუმარცხებელი გუნდი ვერ წავაქციოთ, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ და ერთ ბონუს ქულას მაინც გამოვრჩებითო.

# სიტი მეოთხედფინალში გასასვლელად ემზადება

## სტატისტიკა, ფსონები



დღეს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის მორიგი მერვედფინალური მატჩები.

**დინამო (კ) – სიტი 3.2 3.2 2.3**

მანჩესტერ სიტი პირველად შეეცდება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლას და ამისთვის კიევის დინამოს ბარიერის დაძლევა მოუწევს.

ეს რთული შესასრულებელი არ უნდა იყოს, რადგან ფეხბურთელების გვარებით მანჩესტერული კლუბი აშკარად აღემატება უკრაინულს. მთავარია, როგორ შეასრულებენ ამ დავალებას, რადგან 2011 წლის მარცხი ახლაც მწარედ ემახსოვრება სიტის.

5 წლის წინ კიევში დინამომ 2:0 მოიგო, ხოლო სტუმრად 0:1 დამარცხდა. ასე რომ, უკრაინელები არაფერს დაუთმობენ მეტოქეს.

სიტი აქამდე სხვა უკრაინულ გუნდს არ შეხვედრია, ხოლო კიეველები მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიან ინგლისურ გუნდებთან წარმატებით თამაშით, განსაკუთრებით სტუმრად – 2 ფრე და 11 მარცხი აქვთ.

კიეველები დისკვალიფიცირებული ანტუნეშის გარეშე დახვდებიან მეტოქეს. პლუს არ ეყოლებათ ტრავმირებული მოროზიუკი. სიტის ლაზარეთში უფრო მეტი ფეხბურთელია – დე ბრუინი, ნავასი, ბონი, სანია, ნასრი.

**მსაჯები ესპანელები არიან:** ანტონიო მატეუ ლაოსი (მთავარი); პაუ სებრიან დევისი, რობერტო დელ პალომარი (ასისტენტები); ხესუს ხილ მანსანო, კარლოს გომესი (დამატებითი); რაულ კარბანერო (მეოთხე).

სავარაუდო შემადგენლობები:

დინამო: შოპკოვსკი, ვიდა, დრაგოვიჩი, ხაჩერიდი, სილვა, სიდორჩუკი, პეტროვიჩი, გარმაში, იარმოლენკო, გონსალესი, მორაესი

სიტი: ჰარტი, ზაბალეტა, კომპანი, ოტამენდი, კლიში, ფერნანდო, ფერნანდინიო, სილვა, იაია ტურე, სტირლინგი, აგუერო

**პსვ – ატლეტიკო 5.0 3.5 1.85**

ამ გუნდების გზა 2008 წელს გადაკვეთილა, მხოლოდ ჯგუფურ ეტაპზე. მაშინ ატლეტიკომ ორივე მატჩი მოუგო მეტოქეს (3:0; 2:1). საერთოდ, პსვ-ს ძალიან უარყოფითი ბალანსი აქვს ესპანურ კლუბებთან, ატლეტიკოს – თანაბარი.

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული დე იონგი დააკლდება, სტუმრებს ტრავმირებული კარასკო, პარტი და ტიაგუ.

**მატჩს იტალიელი მსაჯები მოემსახურებიან:** დანიელე ორსატო (მთავარი); ლორენცო მანგანელი, რიკარდო დი ფიორე (ასისტენტები); პაოლო ვალერი, დანიელე დოვერი (დამატებითი); ელენიტო დი ლიბერტადორე (მეოთხე);

<u>სავარაუდო შემადგენლობები:</u>

**პსვ:** ზოეტი, არიასი, ბრუმა, მორენო, ვილემსი, ვან გინკელი, ჰენდრიქსი, პროპერი, ლოკადია, ჯოზეფსონი, პერეირო

**ატლეტიკო:** ობლაკი, ხუანფრანი, სავიჩი, გოდინი, ფელიპე ლუისი, გაბი, ნიგუესი, კორეა, კოკე, გრიზმანი, ტორესი

# რეალი ზაფხულში 400 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებს



ესპანურ გამოცემებზე დაყრდნობით, მადრიდის რეალი ზაფხულში რევოლუციის მოხდენას აპირებს. კლუბის ხელმძღვანელობამ იცის, რომ ზაფხულის შემდეგ, სატრანსფერო ბლოკი ძალაში შევა.

გავრცელებული ინფორმაციით, ფლორენტინო პერესი მაისიდან მოლაპარაკებებს დაიწყებს და კლუბს უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით გააძლიერებს.

გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, დედაქალაქში 4-5 სუპერვარსკვლავი მივა და „ბლანკოსის“ ბიუჯეტი დაახლოებით 400 მილიონი ევროთი დაცარიელდება.

ერთ-ერთი მათგანი ედენ აზარი იქნება. მადრიდული კლუბის პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა, ჩელსის ბელგიელი ფეხბურთელის შესაძენად თანხა უკვე გამოყო.

მადრიდის რეალის პრეზიდენტი რომან აბრამოვიჩს 60 მილიონ ევროს შესთავაზებს. ფასის ვარდნა ბოლო დროს ბელგიელი ფეხბურთელის არადამაჯერებელმა თამაშმა გამოიწვია.

მადრიდში ფიქრობენ, რომ ლონდონური კლუბი აზარს ხსენებული თანხის სანაცვლოდ აუცილებლად დათმობენ.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ედენი ღიად აცხადებს ზინედინ ზიდანის მიმართ უდიდესი სიმპათიების შესახებ.

თუ ინგლისურ მედიას დავუჯერებთ, პერესი კუნ აგუეროსაც მიუბრუნდა.

რეალის პრეზიდენტს წინა ხაზის მნიშვნელოვანი გაძლიერება სურს, არგენტინელს კი ერთ-ერთ საუკეთესო ვარიანტად განიხილავს.

წინასწარი ინფორმაციით, ბლანკოსის პრეზიდენტი სიტის ხელმძღვანელობას 80 მილიონიანი წინადადებით მიმართავს და ეცდება, რომ არგენტინელმა რეალის ფორმა მოირგოს.

# ინფანტინო მუნდიალზე გუნდებს 40-მდე გაზრდის



26 თებერვალს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ფიფას საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. ერთ-ერთი კანდიდატი ჯანი ინფანტინოა, რომელიც მიიჩნევს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილე გუნდების რაოდენობა 2026 წლისთვის 40-მდე უნდა გაიზარდოს.

**ჯანი ინფანტინო:**

– 2026 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 40-მა გუნდმა უნდა ითამაშოს. ეს უნიკალური სპორტული ღონისძიებაა, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ ტარდება და ის მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს. თუ დამატებით 8 გუნდს მივცემთ მონაწილეობის უფლებას, ამით ამ ქვეყნის მოქალაქეებს მივცემთ შანსს, გაიზიარონ ამ ჩემპიონატის ის ხიბლი და საოცარი ემოციები, რომელიც მას მოაქვს.

ინფანტინოს თქმით, აღნიშნული იდეა მან დაინტერესებულ მხარეებთან უნდა განიხილოს.

შეგახსენებთ, რომ ფიფას არჩევნები 26 თებერვალს, შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ჩატარდება.

# ქალთა საფეხბურთო ნაკრები დუბაიში გაემგზავრა



საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრები ამხანაგურ მატჩებს დუბაიში ჩაატარებს. ლევან ბაჯელიძის გუნდი დუბაიში ორ ამხანაგურ შეხვედრას არაბეთის გაერთიანებული საამიროების წინააღმდეგ გამართავს. მატჩები დღეს და 27 თებერვალს გაიმართება.

გუნდი 20 თებერვლიდან ტექნიკურ ცენტრ ბასაზე ემზადებოდა, ხოლო დუბაიში გუშინ გაემგზავრა.

<u>**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**</u>

**მეკარეები:** თამარ ნადირაშვილი (ჟალგირისი, ლიტვა), თეონა სუხაშვილი (ჰერეთი)

**მცველები:** ნათია სხირტლაძე, ანა ზაქაიძე (ორივე იბერია სტარი), ნინო კოჭლამაზაშვილი (გაბალა, აზერბაიჯანი), ნინო სუთიძე (ქონაქი ბელედიესპორი, თურქეთი), თამარ ტატუაშვილი (სამსუნი, თურქეთი), ნინო ჩხარტიშვილი (გურია)

**ნახევარმცველები:** ანა ჩემინავა (ჟალგირისი, ლიტვა), თინათინ თევდორაძე (იბერია სტარი), მარიამ ბასილაძე (გაბალა, აზერბაიჯანი), თეონა თოდაძე (სამსუნი, თურქეთი), თეონა ბაქრაძე (ბაია), ლანა გორგაძე (მართვე), ნინო პასიკაშვილი (ატაშეჰირი ბელიდიესპორი, თურქეთი)

**თავდამსხმელები:** ლელა ჭიჭინაძე (ატაშეჰირი ბელიდიესპორი, თურქეთი), თამრიკო კვალიაშვილი (იბერია სტარი), მარიამ დანელია (სენაკი).

# ბაიერნის ფანები გვარდიოლას გაუნაწყენდნენ

ბუნდესლიგის 22-ე ტურის მატჩში, როდესაც ბაიერნი შინ დარმშტადტს ეთამაშებოდა, მიუნხენური გრანდის გულშემატკივრებმა პეპ გვარდიოლასადმი ობსტრუქციის შემცველი ბანერი გამოფინეს.

„ალიანც არენას“ ერთ-ერთ ტრიბუნაზე, სადაც ბაიერნის გულშემატკივართა ფირმა „შიკერია“ არის განთავსებული, გამოფენილი იყო ბანერი შემდეგი მიმართვით: გვარდიოლა არასოდეს ყოფილა ერთ-ერთი ჩვენგანი!

სავარაუდოდ, „შიკერია“ პეპ გვარდიოლას კლუბიდან წასვლამ გაანაწყენა, რომელმაც „რეკორდმაისტერთან“ კონტრაქტის გახანგრძლივება იუარა და ახალი სეზონიდან მანჩესტერ სიტიში ამჯობინა წასვლა.

# შედეგები

<u>22 თებერვალი</u>

<u>ფეხბურთი</u>

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

შრიუსბერი-მანჩესტერი ................ 0:3

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფორტუნა-ნიურნბერგი ................ 1:1

**იტალია. სერია ა**

ნაპოლი-მილანი ................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 26 | 18 | 4 | 4 | 46-15 | 58 |
| 2.ნაპოლი | 26 | 17 | 6 | 3 | 54-21 | 57 |
| 3.ფიორენტინა | 26 | 16 | 4 | 6 | 47-26 | 52 |
| 4.რომა | 26 | 14 | 8 | 4 | 52-27 | 50 |
| 5.ინტერი | 26 | 14 | 6 | 6 | 34-23 | 48 |
| 6.მილანი | 26 | 12 | 8 | 6 | 38-28 | 44 |
| 7.სასუოლო | 26 | 9 | 11 | 6 | 32-31 | 38 |
| 8.ლაციო | 26 | 10 | 7 | 9 | 34-34 | 37 |
| 9.ბოლონია | 26 | 10 | 4 | 12 | 29-31 | 34 |
| 10.ემპოლი | 26 | 9 | 7 | 10 | 32-37 | 34 |
| 11.ტორინო | 26 | 8 | 8 | 10 | 33-33 | 32 |
| 12.კიევო | 26 | 8 | 7 | 11 | 31-36 | 31 |
| 13.ატალანტა | 26 | 7 | 8 | 11 | 25-30 | 29 |
| 14.ჯენოა | 26 | 7 | 7 | 12 | 27-31 | 28 |
| 15.უდინეზე | 26 | 7 | 6 | 13 | 22-40 | 27 |
| 16.პალერმო | 26 | 7 | 5 | 14 | 27-47 | 26 |
| 17.სამპდორია | 26 | 6 | 7 | 13 | 37-46 | 25 |
| 18.ფროზინონე | 26 | 6 | 5 | 15 | 26-51 | 23 |
| 19.კარპი | 26 | 4 | 8 | 14 | 23-43 | 20 |
| 20.ვერონა | 26 | 2 | 12 | 12 | 24-43 | 18 |

**იტალია. სერია ბ**

პერუჯა-ტრაპანი ................ 0:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნიმი-მეცი ................ 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სპორტინგი-ბოავიშტა ................ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ვერია-პანიონიოსი ................ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბეშიქთაში-გენჩლერი ................ 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვისლა-ლეჩნა ................ 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# გამოვიდა ახალი წიგნი GEORGIAN MYTH-TALES

დანიელ არა ქართველი ჟურნალისტის ვალერი ჭკადუას ფსევდონიმია. ვ.ჭკადუამ დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარ მთარგმნელობით კოლეგიაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საინფორმაციო განყოფილების გამგედ, საგამომცემლო სახლ „პალიტრის“ ინგლისურენოვანი ყოველკვირეულის Georgia Jornal-ის მთავარ რედაქტორად.

1990 წლიდან დანიელ არა აქტიურად თარმნის და აქვეყნებს შერვუდ ანდერსონის, უილიამ ფოლკნერის, ჯეიმს თერბერისა და სხვა ამერიკელი მწერლების ნაწარმოებებს.

წინამდებარე ინგლისურენოვანი მოთხრობების კრებულის „ქართული მითიური ამბების“ წინასიტყვაობაში დანიელ არა წერს: „ყოველ ერს გააჩნია მითები, რომლებიც აყალიბებენ ამ ხალხის როგორც კოლექტიურ, ასევე ინდივიდუალურ მიდგომას იმ მოვლენისადმი, რომელსაც ზოგი ოპტიმისტი „ცხოვრებას“ უწოდებს. ამ წიგნში მე შევეცადე გადმომეცა იმ მითიური აზროვნების თავისებურება, ქართველებს რომ ახასიათებს“.

**წიგნის შეძენა შეიძლება „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში.**

# რა რის პოლინოზი



პოლინოზი სეზონური ხასიათის ალერგიული დაავადებაა, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა მცენარეების მტვრის მიმართ მომატებული მგრძნობელობით, სენსიბილიზაციით, ახასიათებს სასუნთქი გზების, კონიუნქტივის, კანის, ნერვული, საჭმლის მომნელებელი სისტემისა და შინაგანი ორგანოების დაზიანება.

პოლინოზის სიმპტომები: ქავილისა და წვის შეგრძნება ცხვირში ხშირი ცემინება, უხვი გამონადენი ცხვირიდან და გაძნელებული სუნთქვა, ქუთუთოების ქავილი და სიწითლე, შეშუპება, ცრემლდენა, თვალებში „ქვიშის“ შეგრძნება, შეტევითი ხასიათის სუნთქვის უკმარისობა, ხველა, ქავილი და გამონაყარი კანზე.

პოლინოზის თვითგანკურნება არ ხდება იშვიათი შემთხვევების გარდა, ყოველ მომდევნო სეზონზე ალერგიული სიმპტომები უფრო და უფრო მძაფრდება. ალერგიული რინიტი ადექვატური მკურნალობის არარსებობისას, შესაძლოა გადაიზარდოს ბრონქული ასთმაში.

პოლინოზის დიაგნოსტიკისათვის მნიშვნელოვანია ალერგიული ანამნეზი, კანის სინჯები ალერგენებზე, პროვოკაციული სინჯები, ლაბორატორიული დიაგნოსტიკა – სპეციფიური იმუნოგლობულინის განსაზღვრა

პოლინოზის მკურნალობაში უმთავრესია გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრა, ალერგენთან კონტაქტის თავიდან აცილება. რაც შეეხება მედიკამენტოზურ მკურნალობას, გამწვავების პერიოდში გამოიყენება ანტიჰისტამინური პრეპარატები. აუცილებელია მიმართოთ სპეციალისტს.

პოლინოზის მკურნალობის ეფექტური მეთოდია სპეციფიური იმუნოთერაპია, რაც მიმართულია ალერგენებზე ორგანიზმის მგრძნობელობის შემცირებისაკენ. ეს არის ერთადერთი მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას დაავადების ხანგრძლივი და მდგრადი რემისია.

იმუნოთერაპიისას ხდება ავადმყოფის ორგანიზმში ინექციის გზით ალერგენის თანდათანობით მზარდი დოზების შეყვანა, შედეგად კი მცირდება სპეციფიური ჰიპერმგრძნობელობა.

უშუალოდ გამწვავების სეზონზე ალერგიის პროფილაქტიკის მიზნით თავი უნდა მოარიდოს ავადმყოფმა დილაობით, ქარიან ამინდში გარეთ გამოსვლას, ქალაქგარეთ გასვლას, სადაც მოყვავილე მცენარეებია. ასევე ავადმყოფმა თავი უნდა აარიდოს მცენარეულ კოსმეტიკურ და ჰიგიენურ საშუალებებს, საკვები რაციონიდან უნდა იქნეს ამოღებული ალერგიის გამომწვევი საკვები პროდუქტები. ყვავილობის სეზონის დაწყებამდე უნდა ჩატარდეს ექიმ-სპეციალისტის მიერ დანიშნული მკურნალობის კურსი, სხვაგვარად დაავადება თანდათანობით გართულდება.



# რით ვუშველოთ კბილების კრაჭუნს

**ბრუქსიზმი** არის კბილების კრაჭუნი, რაც გამოწვეულია ძილის დროს საღეჭი კუნთების შეტევითი ხასიათის შეკუმშვებით. დამტკიცებულია, რომ პლანეტის მოსახლეობის 15% აკრაჭუნებს კბილებს ძილის დროს.

ბავშვებში ბრუქსიზმი გვხვდება უფრო ხშირად ვიდრე მოზრდილებში. მეცნიერების აზრით, ეს პრობლემა აწუხებს ყოველ მესამე სკოლამდელ და ყოველ მეორე მცირე კლასების მოსწავლეს.

აღნიშნული პრობლემის შესახებ ხალხში ამბობენ, რომ ძილში კბილების კრაჭუნი ორგანიზმში ჭიების არსებობის უტყუარი ნიშანიაო, თუმცა ეს აზრი მეცნიერებმა ვერ დაამტკიცეს. საერთოდ, კბილების კრაჭუნის მიზეზი დღემდე უცნობია.

დღის ბრუქსიზმი გამოიხატება დღის განმავლობაში, როდესაც ადამიანს ახასიათებს ძლიერი ემოციური დაძაბულობის დროს კბილების დიდი ძალით დაჭერა, კრაჭუნამდე.

ღამის ბრუქსიზმი გამოიხატება ღამით, ძილის დროს კბილების კრაჭუნში. ამასთან ღამის განმავლობაში შესაძლოა მოხდეს რამოდენიმე შეტევა.

გავრცელებული ვერსიით აღნიშნული მოვლენას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ძილის სიღრმის რეგულაციის დარღვევისას. ისეთები, როგორიცაა სომნამბულიზმი (მთვარეული), ხვრინვა, ღამის ენურეზი და შიშის მომგვრელი სიზმრები.

შესაძლოა, აღნიშნული სიმპტომი გამოიწვიოს, საფეთქელქვედა ყბის სახსრის აგებულების თავისებურებამ, თანკბილვის პათოლოგიამ ან სახის ჩონჩხის სხვა პათოლოგიებმა.

მეცნიერების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ბრუქსიზმი უვითარდებათ ადამიანებს, რომლებიც განიცდიან გამუდმებულ სტრესს, რასაც მოსდევს შინაგანი აშლილობა, დაძაბულობა, სიბრაზე, ძილის წინა აღგზნებულობა.

ბრუქსიზმმა შესაძლოა სერიოზული გართულებებიც გამოიწვიოს: კბილების პათოლოგიური ცვეთა, კბილების მორყევა და მოტეხილობა, თანკბილვის დარღვევა, საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის პათოლოგია, თავის ტკივილი, სახის კუნთების სპაზმები და ტკივილები.

ბრუქსიზმთან დამოუკიდებლად ბრძოლა, პრაქტიკულად შეუძლებელია, როგორც კი შეამჩნევთ აღნიშნულ პრობლემას, მიმართეთ თქვენს სტომატოლოგს პროფესიული რჩევისთვის და სათანადო მკურნალობის დასანიშნად.

ამასთან გახსოვდეთ, რომ ბავშვების ბრუქსიზმი, არ ითხოვს რაიმე სპეციალურ მკურნალობას, შესაძლოა თავისით გაიაროს.

ხოლო ბრუქსიზმი მოზრდილ ასაკში უკვე ითხოვს აუცილებელ მკურნალობას.



• • •

ძილის დროს თქვენი კბილების დასაცავად შესაძლოა დაინიშნოს სპეციალური პირშიგნითა აპარატები. ძირითადად აღნიშნული აპარატი მზადდება რბილი პლასტიკისაგან, რომელიც მჭიდროდ ეკვრის კბილებს (დაახლოებით იგივეს დამცავ საშუალებას ხმარობენ მოკრივეები ბრძოლების დროს).

ბრუქსიზმი ხშირად ვითარდება და ძლიერდება სტრესის დროს. თქვენ დაგჭირდებათ გარკვეული ძალისხმევა, რათა დასძლიოთ სტრესი ან შეამციროთ მისი ნეგატიური ეფექტი. ეს დაგეხმარებათ ბრუქსიზმის პროფილაქტიკაში და მოგიხსნით მასთან დაკავშირებულ ყბების ტკივილებს.

სტრესთან ბრძოლისათვის არსებობს მრავალი საშუალება. ხშირად გამოიყენება თვით დახმარების მეთოდები. სასარგებლო შესაძლოა გამოდგეს რელაქსაციის და ბიოლოგიური უკუკავშირის მეთოდები. ფსიქოლოგს და ფსიქოთერაპევტს ასევე შეუძლიათ დიდი დახმარების გაწევა.

**რამდენიმე რჩევა უცხოელი სპეციალისტებისგან:**

1. დღის განმავლობაში გქონდეთ პირი „ჯანმრთელი დასვენების“ მდგომარეობაში. „კბილები ერთმანეთს უნდა ეხებოდეს მხოლოდ საკვების მიღებისას. თუკი მიაჩვევთ თქვენ თავს, რომ არ შეახოთ კბილები, ეს შეამცირებს მათი კრაჭუნის სურვილს. რომ არ დაგავიწყდეთ სახლში და სამსახურში განათავსეთ შემახსენებელი წარწერები.

2. ახრამუნეთ ვაშლი. თუკი ღამით კბილებს აკრაჭუნებთ, შეეცადეთ ძილის წინ მაქსიმალურად დაღალოთ თქვენი საღეჭი აპარატი ვაშლის ან უმი ყვავილოვანი კომბოსტოს ჭამით, ამან შესაძლოა დაამშვიდოს თქვენი ჰიპერაქტიური პირის ღრუ.

3. ღამის კრაჭუნისას სცადეთ „პირისდარაჯი“. სპორტული ინვენტარის მაღაზიებში იყიდება მოწყობილობა, რომელსაც ათავსებთ ცხელ წყალში, შემდგომ იდებთ პირის ღრუში და კბეჩთ.

შელდონ გროსი, ნიუ ჯერსის სამედიცინო უნივერსიტეტის და ტუფტსას უნივერსიტეტის ლექტორი, ამტკიცებს, რომ აღნიშნული საშუალების დახმარებით შესაძლოა მოიშოროთ ღამის კრაჭუნი და დაიცვათ კბილები ცვეთისაგან. თუკი ამან გაამართლა მიმართეთ თქვენს სტომატოლოგს და დაგიმზადებთ თქვენი კბილების მიხედვით დამცავ კაპას.

4. მიიდეთ ყბებთან სითბო. დაკეცეთ პირსახოცი, დაასველეთ ცხელ წყალში, გაწურეთ და დაიდეთ სახის ორივე მხარეს, დაიდეთ ცხელი კომპრესები, ხშირად, როგორც შესძლებთ, გაიჩერეთ რამდენ ხანსაც გაუძლებთ, ეს მოადუნებს კუნთების დაძაბულობას, რაც ხშირად თავის ტკივილებს იწვევს.

5. პირველ რიგში დამშვიდდით. ექსპერტები თვლიან, რომ უმეტეს შემთხვევაში ბრუქსიზმი დაკავშირებულია სტრესთან. ასე, რომ მოდუნდით, მოეშვით და დამშვიდდით. ამისათვის საჭიროა:

6. კოფეინის და ნახშირწყლებით მდიდარი, როგორიცაა კანფეტები და ტკბილეული პროდუქტების მიღების შემცირება. რაც დაგეხმარებათ კვების გაუმჯობესებაში;

7. მიიღეთ თბილი აბაზანები;

8. არ გადაიტვირთოთ;

9. დაეუფლეთ რომელიმე კარგ რელაქსაციის ან მედიტაციის მეთოდს.

# ასტროპროგნოზი
## 24 თებერვლისათვის



**ვერძი** – არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ არანაირი შემოთავაზება. დიდია რისკის ალბათობა. ნურავის მიენდობით, შესაძლოა, მოგატყუონ. **კურო** – თუ თქვენს ხელთ არსებულ რესურსებს გონივრულად გამოიყენებთ, შეძლებთ, სოციალური სტატუსი უკეთესობისკენ შეცვალოთ, ასევე გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა. **ტყუპები** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე გამოიჩინეთ. ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. დღის მეორე ნახევარში კარგი იქნება ბუნებაში გასვლა და დასვენება. **კირჩხიბი** – წინააღმდეგობრივი, რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **ლომი** – ვარსკვლავები გაფრთხილებენ – არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ არანაირი შემოთავაზება. დიდია რისკის ალბათობა. ნურავის მიენდობით. **ქალწული** – კრიტიკული დღეა. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბედი კვლავ გამოცდას გიწყობთ. თავი აარიდეთ კომერციულ საქმიანობას. გარშემომყოფებთან კამათი კატეგორიულად გეკრძალებათ. **სასწორი** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა, რაც, შესაბამისად, თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. ერიდეთ უსარგებლო კამათსა და საქმის გარჩევებს. **ღრიანკალი** – ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას მაქსიმალურად ყურადღებით იყავით. ნუ იაქტიურებთ. შორს გამგზავრება სასურველი არ არის. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი და წარმატებული დღეა. ნებისმიერ საქმეს თამამად შეეჭიდეთ. მარტოხელებმა, შესაძლოა, ცხოვრების თანამგზავრი იპოვოთ. **თხის რქა** – იდეების რეალიზებას შესანიშნავად ახერხებთ. თქვენი ენერგიულობითა და სპონტანურობით გარშემომყოფებს გააოცებთ. სოციალური სტატუსი უკეთესობისკენ იცვლება. **მერწყული** – დღევანდელი დღე გაორებული და წინააღმდეგობებით აღსავსეა. თავს ნუ მოიტყუებთ. ფულთან დაკავშირებით სიფრთხილე გამოიჩინეთ. საღამოს აუცილებლად დაისვენეთ, უმჯობესია, თუ განმარტოვდებით. **თევზები** – ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. ეს დღე გამოირჩევა როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ტენდენციებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მრავალადგილიანი სამგზავრო ავტომობილი; 2. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 3. პურეული მცენარე; 4. ქალაქ ბარსელონას ძველი სახელწოდება; 5. უფოთლო, ეკლებიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 10. შვედი კინორეჟისორი; 11. მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; 12. უმოტორო საფრენი აპარატი; 15. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოქმნილი ძვირფასი თვალი; 16. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში; 20. ამბის მომტანი, შიკრიკი.

**თარაზულად**: 6. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 7. ღამის პეპელა; 8. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 9. მატყლით ან ბუმბულით დატენილი მოგრძო, მრგვალი ბალიში; 13. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 14. ქართველი მწერალი, დრამატურგი, კინორეჟისორი; 18. საერთაშორისო კომპიუტერული საინფორმაციო ქსელი; 19. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 21. ცნობილი იაპონელი ტრამპლინიდან მხტომელი მამაკაცი; 22. სახელმწიფო ევროპაში; 23. რამდენიმე ბანკის ან კომპანიის გაერთიანება; 24. ფილატელისტის ალბომი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მეოტიდა; 2. პუშკაში; 3. ბიატლონი; 4. გელათი; 5. გორგოძე; 8. ბიზნესი; 9. კარაბინი; 12. ორატორია; 13. შნიცელი; 16. კოალიცია; 17. „მაესტრო“; 19. „ისინდი“; 20. შალახო.

**თარაზულად:** 6. ხევსურეთი; 7. სექტორი; 8. ბოტეგა; 10. ჟინვალი; 11. „მომა“; 14. ყინწვისი; 15. სალივანი; 18. „ბოჟოლე“; 21. „სალომეა“; 22. ღაწვი; 23. იდალგო; 24. კაბელტოვი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მიკიტანი; 2. ქრონიკა; 3. ოდესა; 4. ბედლამი; 5. ჰორაციო; 10. მაკიზარი; 11. მენეჯმენტი; 12. ტრამვაი; 15. სტივიდორი; 16. „სტამპა“; 17. წუმწუმა; 20. „ოპელი“.

**თარაზულად:** 6. ნიკორწმინდა; 7. კეიტონი; 8. ოკარინა; 9. პარიკი; 13. ჩოხა; 14. კეხურა; 18. ამპლიტუდა; 19. წუნდა; 21. შპიგი; 22. „მაინცი“; 23. პანტომიმა; 24. ბრინდიზი.

# ქალაქის იერსახეზე მერია მონიტორინგს ამკაცრებს

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ქალაქის იერსახეზე ზრუნვასთან დაკავშირებით კომპანიების – „თელასის“, „ყაზტრანსგაზის“, „აუთდორ.ჯის“, „ალმა+“-ის, „კავკასუს ონლაინისა“ და „სილქნეტის“ წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა და მათ საინჟინრო ნაგებობის, განათების ბოძების, საკომუნიკაციო ქსელებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურის ვიზუალურად მოწესრიგებისკენ მოუწოდა.



შეხვედრაზე წარმოდგენილი კომპანიების წევრებს განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ გეგმა-გრაფიკის წარმოსადგენად ერთკვირიანი ვადა მიეცათ, რის შემდეგაც დაგეგმილი სამუშაოების შესრულების მონიტორინგს თბილისის მერია განახორციელებს.

– ძირითადი სამუშაოები, მათი მხრიდან შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში იქნება წარმოებული, ხოლო სამუშაოების შესრულებასა და ქალაქის იერსახეზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ ძალიან მკაცრი კონტროლი განხორციელდება. ამასთან დაკავშირებით სათანადო მითითებები და დავალება ჩემი მხრიდან ზედამხედველობის სამსახურს მიეცა, რათა აქტიურად ვიმუშაოთ და მაქსიმალურად ხარისხიანად და დროულად შესრულდეს ის სამუშაოები, რომლებიც ქალაქში სხვადასხვა ნაგებობის ვიზუალურ მოწესრიგებას გულისხმობს, – განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

**ნიუსპრესი**

# ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა ახალი სანავიგაციო რუკა გამოსცა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა“ ახალი საზღვაო სანავიგაციო რუკა გამოსცა, რომელიც მოიცავს აკვატორიას მდინარე სუფსიდან მდინარე ჭოროხის ჩათვლით, ასევე ბათუმის პორტის ნავმისადგომებს.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, ჰიდროგრაფიული კვლევის, კარტოგრაფიისა და კორექციის განყოფილების ჯგუფი 6 თვის განმავლობაში აწარმოებდა ზემოაღნიშნული აკვატორიის ბათიმეტრიულ კვლევას და სანაპირო ზოლის გეოდეზიურ აზომვით სამუშაოებს, რომლის საფუძველზეც ახალი საზღვაო სანავიგაციო რუკა შეიქმნა.

– განახლებული რუკა მეტად ხელსაყრელი იქნება მეზღვაურებისათვის ნაოსნობის უსაფრთხოების კუთხით, ვინაიდან იგი შეიცავს ზუსტ ინფორმაციას ნაოსნობის რეკომენდებულ მარშრუტებსა და მოძრაობის დადგენილ წესებზე, ასევე იძლევა თევზის რეწვისა და ზღვაზე განსახორციელებელი სხვა პროექტების უსაფრთხოებისა და ინციდენტებისაგან თავის არიდების საშუალებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მონაცემების შემცველი რუკა მანამდე არ არსებობდა, – აცხადებენ უწყებაში.

**ნიუსპრესი**

# სამგლოვიარო განცხადებები

ნანა და ვახტანგ დათაშვილები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ნანი და გია მამფორიების დედის

**ეთერ ბუკია-მამფორიას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჟურნალ „სოციალური ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ნანი მამფორიას დედის

**ეთერ ბუკია-მამფორიას**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანატი და ბიზნეს ადმინისტრირების დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ნანი მამფორიას დედის

**ეთერ ბუკია-მამფორიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კოსმოფიზიკური ობსერვატორიის ღვაწლმოსილი მეცნიერი, მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

**ნოდარ ხაზარაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ლალი მოროშკინა ნინო ჩხეიძის წინააღმდეგ





ჟურნალისტი ლალი მოროშკინა მომღერალ ნინო ჩხეიძეს დაუპირისპირდა. მოროშკინას თქმით, ნინო ჩხეიძე მის კუთვნილებაში არსებული რადიოთი მთელი ქვეყნის მასშტაბით რუსული ე.წ. ქურდული სიმღერების პროპაგანდას ეწევა.

**ლალი მოროშკინა:**

– ნინო ჩხეიძემ აფხაზეთის ხმის ბაზაზე გახსნა რადიო „შანსონი“ და ამას კატეგორიულად ვემიჯნები, იმიტომ, რომ ეს არის რუსული ქურდული სიმღერები, ქურდულ ტრადიციებს უმღერის და უნდა შეწყდეს რადიო „შანსონით“ რუსული ქურდული სიმღერების პროპაგანდა.

ლალი მოროშკინას ბრალდებას **ნინო ჩხეიძემ** უპასუხა:

– ეს არის აბსოლუტურად არაპროფესიონალური და დილეტანტური საუბარი. აფხაზეთის ხმა არის ჰოლდინგი, რომელშიც შედის სამი რადიო. ერთ-ერთი არის „აფხაზეთის ხმა“, რომელიც აფხაზეთშიც მაუწყებლობს და მაუწყებლობაში, ლიცენზიაში უდევს, რომ აუცილებლად უნდა ჟღერდეს რუსული სიმღერები. ჩვენ რუსული საინფორმაციოც გვქონდა, იმიტომ, რომ რადიოს ფორმატი ითხოვდა ამას.

„აფხაზეთის ხმაზე“ არ გადის შანსონები. იქ ჩვეულებრივი რუსული ესტრადა ჟღერს. არის რადიო „შანსონი“, რომელიც ამ ჰოლდინგში გაიხსნა ეხლახან. რუსულ შანსონებზე მოთხოვნილებაა და თანაც ძალიან დიდი. დღეისათვის გაყიდვადი არის რუსული სიმღერები. რაც შეეხება ქურდულ სიმღერებს, ვერ ვხვდები რას გულისხმობს ლალი, შანსონებს თვითონ ისეთი ტექსტები აქვს ან დალევაზეა, ან ქეიფზე. ქურდული სიმღერა კი არ ვიცი რა არის და ასეთი სიმღერების არანაირ პროპაგანდას არ ეწევა რადიო „შანსონი“, – განმარტა მომღერალმა ინგა გრიგოლიასთან.

# გია ჯაჯანიძეს ისევ აკრიტიკებენ



ფსიქოლოგი და ტელეწამყვანი გია ჯაჯანიძე უკვე შეეჩვია იმას, რომ მისი ყოველი გადაცემის შემდეგ, მაყურებელი აღშფოთებას არ მალავს და გია ჯაჯანიძის შოუს დახურვას ითხოვს.

მისი ერთ-ერთი ბოლო გადაცემა სიყვარულს მიეძღვნა. თემაზე სასაუბროდ მან სტუდიაში მიიწვია ცნობილი ქალბატონები და მამაკაცები, მათ შორის, წამყვანები, მსახიობები, მომღერლები. სტუმრებს შორის იყო კესარიაც, რომლის სტუდიაში ხშირმა მიწვევამ და რეკლამირებამ მაყურებლის აღშფოთება გამოიწვია.

სტუმრის სტატუსით მიწვეულმა მომღერალმა გიორგი ტიგინაშვილმა, იგივე ტიგინამ სტუდიაში მყოფ ქალბატონებს სიყვარულზე ლექსი წაუკითხა, რომელმაც ინტერნეტში დიდი პოპულარობა მოიპოვა. საზოგადოების ნაწილი კი ასეთი მდარე ლექსის გაპოპულარულებამ გააღიზიანა და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, პოეტ გიორგი კეკელიძეს დაეკითხა, რატომ მოსწონთ ასეთი ლექსები.

**გიორგი კეკელიძე:**

– ჟურნალისტები მთხოვენ, კომენტარი გააკეთეთ გიორგი ტიგინაშვილის ლექსზე, რომელმაც ინტერნეტი დაიპყროო.

თავიდან ცოტა დავიბენი, სამწუხაროდ, არ ვიცოდი, ვინ იყო ბატონი ტიგინაშვილი, მერე ჩავძახე google-ს და ამომძახა ჯაჯანიძის შოუ და რაღაც დაძაბული ლაპარაკი სიყვარულზე თუ ქალზე, ლექსივით.

ცხადია, ამ საკითხზე ინტერვიუს ვერ მივცემ, მეტად მნიშვნელოვანი საქმეებიც მაქვს, მაგრამ აქვე მინდა გითხრათ: არაფერი ტრაგიკული, მით უფრო საოცარი, არ არის, თუ ასეთი „ლიტერატურა“ ბევრ ხალხს მოსწონს.

ყველა დროში ამგვარად იქნებოდა, უბრალოდ, სოციალურმა ქსელმა უფრო აშკარა გახადა, ყოველთვის იარსებებს უამრავი ადამიანი, ვისაც თქვენთვის მდარე ლექსები მოეწონება და ის, რაც თქვენ მოგწონთ, მათთვის იქნება მდარე, სულ მცირე, გაუგებარი. ამას ვერც განათლებით ვუშველით, თუმცა გვაკლია და ძალიანაც და ვერც დაძალებით. იყოს ის ხალხი, იკითხოს, მოეწონოს და აზიაროს.

# ნუგზარ შარიას იუბილე ბროდვეიზე აღნიშნეს



ქართველი მსახიობი ნუგზარ შარია უკვე წლებია ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ხელოვანის 75 წლის იუბილე ბროდვეიზე აღინიშნა. ინფორმაცია იუბილარის შვილმა ზურა შარიამ გაავრცელა:

– ბროდვეის თეატრში აღინიშნა ნუგზარ შარიას 75 წლის იუბილე. თეატრის დირექტორმა თეოდორ მენმა უმაღლესად შეაფასა მაიკლ ნიკოლსის სპექტაკლი ძია ვანია და ნუგზარ შარიას ღვაწლი და მისი როლი. კინოვარსკვლავმა ჯული კრისტიმ ნუგზარ შარიას უწოდა იულ ბრინერისა და დიუკ ელინგტონის შთამომავალი და თვითონ ხელოვანი მსახიობი, მუსიკოსი და რეჟისორი. სტივენ შპილბერგმა გამოაცხადა ნუგზარ შარია ბროდვეის ისტორიაში ათეულის წევრად. კრიტიკოსმა კლაუფ ბარნსმა აგრეთვე მაღალი შეფასება მისცა ნუგზარ შარიას როლს მაიკლ ნიკოლსის სპექტაკლში.

# ალი და ნინო ფილმის გმირები გახდნენ

ალი და ნინო არა მარტო მოქანდაკეებისა და მხატვრების მუზებად იქცნენ, არამედ რეჟისორებისაც. ყურბან საიდის რომანის მიხედვით ახალი ბრიტანული ფილმი გადაიღეს, რომელიც მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანია ბიბისის ყურადღების ქვეშ მოექცა.

ტელეკომპანიამ სპეციალური ვიდეორეპორტაჟი მოამზადა აზერბაიჯანელი-მუსლიმი ალი ხან შირვანშირისა და ქართველი-ქრისტიანი ნინო ყიფიანის სიყვარულის ისტორიაზე.

მათი სიყვარულის ისტორია გახდა მიზეზი ახალი ბრიტანული ფილმის გადაღებისა, რომლის დირექტორიც ასაფ კაპადია. ის პირადად მოუყვა ბიბისის ჟურნალისტს ფილმის გადაღების პროცესზე.

– დღეს ეს რეგიონი ძალიან მნიშვნელოვანია იმის ფონზე, თუ რა მოვლენები ვითარდება მსოფლიოში. აქ აღმოსავლეთი ერწყმის დასავლეთს, ევროპა – აზიას, ისლამი – ქრისტიანობას. საოცარი ადგილია. ეს გიჟური თავგადასავალი იყო უცნობ სამყაროში, – განაცხადა ფილმის დირექტორმა.



„ალი და ნინო“ უკვე შეაფასეს ამერიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კინოფესტივალზე „სანდენსი“. ფილმის რეჟისორი კრისტოფერ ჰემპტონია, პროდიუსერი ლეილა ალიევა, სცენარისტი ბრიტანელი ნოველისტი კრისტოფერ ჰემპტონია, სცენების დიდი ნაწილი უცვლელად ყურბან საიდის რომანის მიხედვით გადაიღეს.

რომანში მოქმედება კავკასიასა და ირანში პირველი მსოფლიო ომის ფონზე ვითარდება. რომანის სიუჟეტის მოქმედება XX საუკუნის დასაწყისის ძველ ბაქოში და მის სიახლოვეს ვითარდება. რომანმა გამოქვეყნებისთანავე დიდი პოპულარობა მოიპოვა და 33 ენაზე ითარგმნა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

**ოთხშაბათი 24 თებერვალი**

**06.30** მუსიკა **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.30** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** "დ/ფ "თოფგიარი" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.00** "მოამბე" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ქესლი"** **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **22.50** "ეპოქის ფრაგმენტი" **22.59** "კომუნიკატორი" **23.00** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. **23.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა **1/8** ფინალური მატჩი: **"ეინდჰოვენი"-"ატლეტიკო"** **01.40** მხ/ფ **"ბნელეთის ადამიანი"**

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დ/ფ "სიყვარულის სახელით" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო" **23.40 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" მერვედ ფინალი: **დინამო – კიევი – მანჩესტერ სიტი**

**06.30, 14.40** სერ. **"ორი ბედი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"ოცი წუთი"** **11.20** სერ. **"დახურული სკოლა"** **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. **"თანხმობა"** **17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ **"გაქცევა"** **02.40** ქ.მხ/ფ **"ფარაჯანოვი"** **04.15** ერთხელ საქართველოში **04.40** მხ/ფ **"მეცხრე ლეგიონი"**

**06.30** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. **"ქარადაი - ახალგაზრდობა"** **16.55** სერ. **"ინდური საგა"** **18.45** სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** **19.45, 20.05** სერ. **"აღთქმა"** **22.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.30, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **9.00, 15.30** Discovery ფილმების მეცნიერება **10.00, 17.30** ან/სერ. **"ვარსკვლავური ომები"** **11.00, 22.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. **"ცენტრი"** **16.30** აირჩიე კაბა **20.00** ცოლები და ქმრები **20.30 20.30 22.30** მხ/ფ **"შოტლანდიის უკანასკნელი მეფე"** **0.45 ID Extra** სასჯელს თითქმის გავექეცი **1.45,** URBAN STORIES

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "პავლე ინგოროყვა" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "პიონიიორდასალამი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** კონცერტი **17.00** დ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამოსელი" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-წინასწარმეტყველი ამოსიII ნაწ. **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა"** **20.40** ძილი ნებისა "ძაღლუკები" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ივერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. **"შავი ფული და სიყვარული"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00** სერ. **"კარმელიტა 15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. **"ქალთა ექიმი"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. **"ფროიდის მეთოდი"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**24 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4801

ევრო — 2.7445

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5153

100 რუსული რუბლი — 3.269

## ამინდის პროგნოზი 24 თებერვლისთვის






კალეიდოსკოპი

# ანჯელინა ჯოლის შვილების ყოლა არ სურდა

ჰოლივუდის მსახიობმა, რეჟისორმა და საზოგადო მოღვაწემ ანჯელინა ჯოლიმ ახლახან მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ არასოდეს ჰქონია დედობის სურვილი.

– არასოდეს მქონია ბავშვების ყოლის სურვილი. არ მსურდა დაფეხმძიმება. ბავშვებთან არასოდეს დავმჯდარვარ. საკუთარ თავს, როგორც დედას, არასოდეს ვუყურებდი, – სიცილით განაცხადა მსახიობმა.

მსახიობის თქმით, მან საკუთარი შეხედულებები 2002 წელს შეიცვალა, როდესაც კამბოჯაში გადაღებებზე იმყოფებოდა. იმავე წელს გადაწყვიტა მსახიობმა, ბავშვი ეშვილა და კამბოჯელი ბიჭუნა მედოკსის დედა გახდა.

შეგახსენებთ, რომ 40 წლის ანჯელინა ჯოლი და 51 წლის ბრედ პიტი სამი ნაშვილებ ბავშვს ზრდიან: კამბოჯელ მედოკს, ვიეტნამელ პაქსს და ეთიოპელ ზახარს. წყვილს ასევე სამი საკუთარი ბიოლოგიური შვილიც ჰყავთ: გოგონა შაილო და ტყუპები ნოკსი და ვივიენი.




23 თებერვლიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

გაბრიელ გარსია მარკესი

იცხოვრო, რომ მოჰყვე

წიგნი, რომელსაც ათწლეულები ელოდნენ




ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი


# გიოტცე ანჩელოტის ელოდება, ლევანდოვსკი ბაიერნიდან არ მიდის

მიუნხენის ბაიერნის შემტევი ნახევარმცველის, მარიო გიოტცეს თქმით, მისი კლუბში დარჩენა-არდარჩენის საკითხი ბავარიელთა მომავალ მწვრთნელზე, კარლო ანჩელოტიზეა დამოკიდებული.

ბოლო პერიოდში აქტიურად იწერება იმის შესახებ, რომ სუპერმარიო სეზონის ბოლოს ბაიერნს დატოვებს. სახელდება მისი შემდეგი პოტენციური კლუბის ვინაობაც და ეს იურგენ კლოპის ლივერპულია.

**მარიო გიოტცე:**

– ჯერჯერობით უცნობია, რა იქნება ახალი სეზონიდან. ბაიერნთან კონტრაქტი 2017 წლამდე მაქვს. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული კარლო ანჩელოტიზე. ჩემს მომავალს სწორედ მასთან გასაუბრების შემდგომ გადავწყვეტ.

გიოტცემ ლივერპულის მხრიდან მისდამი ინტერესზეც გააკეთა კომენტარი:

– იურგენს კარგად ვიცნობ. უთუოდ, ის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. თუმცა, ჩვენ შორის ამ თემაზე საუბარი ჯერ არ ყოფილა.



ბაიერნის მთავარმა გოლეადორმა, რობერტ ლევანდოვსკიმ დაადასტურა, რომ მისი სამსახურით არაერთი კლუბია დაინტერესებული, მაგრამ თავად მხოლოდ მიუნხენურ კლუბში დარჩენაზე ფიქრობს.

პოლონელი ბომბარდირის გადაბირების საკითხში ყველაზე მეტად მადრიდის რეალი და ლონდონის ჩელსი აქტიურობენ, თუმცა, როგორც თავად ფეხბურთელი ამბობს, ის ბაიერნიდან წასვლას არ აპირებს!

**რობერტ ლევანდოვსკი:**

– ვიცი, რომ რამდენიმე გრანდი ჩემით არის დაინტერესებული, თუმცა მე მხოლოდ ბაიერნში დარჩენაზე ვფიქრობ. ბავარიული კლუბი შესანიშნავი გუნდია, რომელიც მხოლოდ წარმატებებზეა ორიენტირებული.

კლუბის ხელმძღვანელობა უკვე ამუშავდა ლევანდოვსკისთვის კონტრაქტის გახანგრძლივების საკითხზე და 27 წლის თავდამსხმელს მოქმედი ხელშეკრულების 2021 წლამდე გაგრძელებას სთავაზობს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# საკონცენტრაციო ბანაკ ტრებლინკის ბოლო ყოფილი ტყვე გარდაიცვალა

ისრაელში გარდაიცვალა სამუილ ვილენბერგი, რომელიც ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკ ტრებლინკის უკანასკნელი ყოფილი პატიმარი იყო, რომელიც ოკუპირებული პოლონეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

ვილენბერგი სამხრეთ პოლონეთში იყო დაბადებული, მამამისი ადგილობრივ ებრაულ სკოლაში ასწავლიდა. დედამისი, რომელიც ქრისტიანი იყო, იუდაიზმის მიმდევარი მოგვიანებით გახდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას სამუილი 16 წლის იყო. 1941 წელს ნაცისტებმა მისი ორი და დააპატიმრეს. მაშინ სამუილის მშობლებმა ყალბი საბუთების წყალობით მოახერხეს დაპატიმრებისთვის თავის არიდება. თუმცა გეტოს ლიკვიდაციის შემდეგ ვილენბერგი სხვა ებრაელებთან ერთად ტრებლინკის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. იქ მან თავი ქვისმთლელად გაასაღა და მხოლოდ ამის წყალობით გადაურჩა გაზის კამერაში სიცოცხლის დასრულებას. საკონცენტრაციო ბანაკიდან მან თავის დაღწევა 1943 წელს სხვა აჯანყებულებთან ერთად მოახერხა.

ომის შემდეგ სამუილი გარკვეული დროის მანძილზე



ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გადარჩენილი ებრაელი ბავშვების მოძებნაში მონაწილეობდა, ხოლო 1950 წელს ის დედასთან და მეუღლესთან ერთად ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც სახელმწიფო სამსახურში მუშაობდა, ხოლო პენსიაში გასვლის შემდეგ კი მოქანდაკეობას მიჰყო ხელი და რამდენიმე საერთაშორისო გამოფენაშიც მიიღო მონაწილეობა, რომლებიც ჰოლოკოსტს ეძღვნებოდა.

ვილენბერგს დარჩა ცოლი, შვილი და სამი შვილიშვილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# იუმორი

სახლში მისულ კაცს სიდედრმა შემწვარი სოკო დაახვედრა. კაცმა იფიქრა, მოწამვლას ხომ არ მიპირებსო და სოკო ჯერ კატას აჭამა. კატა იატაკზე გაგორდა და ფეხები გაჭიმა.

– ოხ შენი, მოწამვლას მიპირებდი არა?! – უყვირა სიდედრს, სტაცა ხელი და მეცხრე სართულის ფანჯრიდან გადააგდო.

– ესეც ასე! – წამოხტა გახარებული კატა.

●●●

გემის ჩაძირვის შემდეგ ქართველი უკაცრიელ კუნძულზე მოხვდება. სამი წლის მარტოობის შემდეგ, უცბად ხედავს, მისკენ ნავით ულამაზესი ქალი მოცურავს. ქალმა გამოსძახა:

– მოდი და რაც ამ სამი წლის მანძილზე ყოველდღე გენატრებოდა, იმას მოგცემ.

– დედა, აჯიკა გაქვს, აჯიკა...

●●●

სოფლელი თევზაობს, მაგრამ ვერაფერს იჭერს. იქვე ახლოს კი მეორე მეთევზე, ქალაქელი ანკესის ჩაგდებას ვერ ასწრებს, რომ უკვე თევზი ამოჰყავს. სოფლელმა უყურა, უყურა, ბოლოს ველარ მოითმინა, მივიდა და ეუბნება:

– თუ შეიძლება ერთი ორი თევზი მაჩუქე, თორემ ვერაფერი დავიჭირე და ბავშვები მშივრები დამირჩებიან.

– სულ შენი იყოს, მე თევზაობა მიყვარს, თევზის ჭამა კი არა, – უპასუხა ქალაქელმა.

კაცს გაუხარდა, მაგრამ იმდენი თევზის წაღება ვერ შეძლო. მაშინ ქალაქელმა უთხრა:

– მოდი ბარემ, თუ სიკეთეა, სიკეთე იყოს და სახლში მე მიგატანინებ, ჩემი მანქანით.

მართლაც ჩააწყვეს თევზი მანქანაში და სოფლელის სახლში მიიტანეს. მანქანა ეზოს რომ მიადგა, სახლიდან ცხრა ბავშვი გამოვარდა და ამდენი თევზი რომ დაინახეს, ძალიან გაუხარდათ. ქალაქელი სოფლელს ეუბნება:

– მე მდიდარი კაცი ვარ, მაგრამ მე და ჩემ ცოლს შვილები არ გვყავს. მოდი, შენი ერთ-ერთი შვილი გამატანე, გავზრდი, გზაზე დავაყენებ და კაცს გამოვიყვან.

– ყველა წაიყვანე, ძამა, მე აგენის კეთება მიყვარს, გაზრდა კი არა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“-ს პერსონაჟი; 2. ცბიერი, გაიძვერა ადამიანი; 3. დიდი ფართობის, ნოყიერი ნიადაგი; 4. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 5. ნუშისებრი ჯირკვლების ანთება; 9. ტკბილი კარტოფილი; 12. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 14. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 15. ფულის საერთაშორისო ერთეული; 17. ცხენშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 18. აზროვნების უნარი, გონება.

**თარაზულად**: 6. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 7. მდინარე აშშ-სა და მექსიკაში; 8. ძრავიანი ველოსიპედი; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 13. რთული, სადაო საკითხის შემფასებელი, სწორი დასკვნის დამდგენი სპეციალისტი; 16. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 20. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი